ბაზიერი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№202 (261) 25 დეკემბერი – 8 იანვარი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

გილოცავთ ახალი – 2013 წლის დადგომას! გისურვებთ ბედნიერებას და სიკეთეს!

არიან თუ არა სააკაშვილის მთავრობის წევრები კრიმინალები?

ამ შეკითხვას, ერთ-ერთ ამასწინანდელ ტელეინტერვიუში, დადებითი პასუხი გასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ, რაც საქართველოს ხელისუფლებისა და, ზოგადად, პოლიტიკისადმი ინდიფერენტულად განწყობილმა მოსახლეობის ნაწილმაც კი აბსოლუტურ ჭეშმარიტებად აღიქვა, დასავლეთის მიკერძოებულ პოლიტიკოსთა მხრიდან კი ამ განცხადებას მძაფრი რეაქცია მოჰყვა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევადაც კი მონათლეს იგი.

მათი ამგვარი აგრესიული დამოკიდებულება ქალბატონ მაიას აღნიშნული განცხადებისადმი სავსებით ბუნებრივია. თუ გამოვალთ ძველი ლათინური პოზიციიდან: **“მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი, და გეტყვი ვინა ხარ შენ!”**, სავსებით ლოგიკურია, რომ უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს კრიმინალურ ხელისუფლებასთან ჩახუტებული და საქართველოს ბიუჯეტს ძუძუს გოჭებივით მომსხდარი და მდინარედ წამოსულ გრანტსესხთა **“ატკატებზე”** დახელოვნებული დასავლეთევროპელი ჩონოვნიკები თავად ავტომატურად ცხადდებიან კრიმინალებად!

როგორც იტყვიან, **“ერთმა ჭუჭყიანმა ღორმა ათასი სხვა ღორი გასვარა!”** ამიტომ, ახლა სააკაშვილისა და მისი მართლაც კრიმინალური მთავრობისგან ქრთამებით გაწუწკებულ დასავლელ ჩინოვნიკებს საკუთარი რენომეს გადარჩენა უფრო აღელვებთ, ვიდრე ის – სააკაშვილს და მის თანამზრახველებს კრიმინალებად გამოაცხადებენ თუ კანიბალებად!

თუმცა, ჩვენ მაინც გვინდა კორექტივი შევიტანოთ ქალბატონ მაია ფანჯიკიძის მიერ გაცხადებულ ზემოთაღნიშნულ ფრაზაში. კერძოდ, სააკაშვილი და მისი მთავრობის წევრები არა მხოლოდ კრიმინალები, არამედ საერთაშორისო რეაქციული ძალების მიერ მოსყიდული რენეგატები იყვნენ, რომელთაც თავიანთი გადამთიელი დაქირავებულებისაგან მიიღეს საქართველოს დაშლა-განადგურების შეკვეთა, საკმაოდ დიდი ანაზღაურების ფასად, და რომ არა ქართულ პოლიტიკაში კოალიცია **“ქართული ოცნების”** მოსვლა, ისინი **“წარმატებით”** განახორციელებდნენ გადამთიელთა შეკვეთას. მაგალითად, წმინდა წყლის კრიმინალები იყვნენ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული კიტოვანი და იოსელიანი, მაგრამ თუ მავნებლობის ალგორითმიდან გამოვალთ, კიტოვან-იოსელიანის **“პოლიტიკურმა”** ტანდემმა მხოლოდ გაძარცვა საქართველოს (განსაკუთრებით – აფხაზეთისა და სამეგრელოს) მოსახლეობა (რაც შეეხება **“აფხაზეთის ომს”**, იგი შევარდნაძემ წამოიწყო და ამ საქმეში კრიმინალური ტანდემის წვლილი ნაკლებია), სააკაშვილის დანაშაულებრივი მთავრობა კი საქართველოს მოსახლეობასაც ძარცვავდა, სრულიად საქართველოსაც, დაუნდობლად ებრძოდა ჩვენს მართლმადიდებლურ რელიგიურ ღირებულებებს, მდიდარ ქართულ წეს-ჩვეულებებს და ჩვენს ტერიტორიებს, თანდათან, იურიდიულად უმტკიცებდა საქართველოს მიწებსა და სილამაზეს მუდამ მშიერი ძაღლებივით მოძუძგურებულ მოძალადეებს!

რაც შეეხება სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ მოქრთამულ დასავლელ პოლიტიკოსებს, მათ მეტად მოხდენილი მესიჯი გაუგზავნა დიდმა ქართველმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ: **“ო, ლობისტებო, ლობისტებო!**

შემოგაკლდათ ქართველი ხალხის ფული, რომელსაც ჩვენი ლამაზი მთავრობა გიხდიდათ? ო, ლობიზმი,– ვთქვათ პირდაპირ,– ო, ქრთამო, მექრთამეებო! დააკანონეთ ძარცვა პატარა ქვეყნების! ო, თვალთმაქცო ევროპა, ადამიანების უფლებებს ისტერიკულად რომ გვიქადაგებთ, ვეღარ გაწვდიან ქართველი ჩასუქებული ტირანჩიკები ჯამაგირს? ზამთრის კურორტებზე სეირნობა ვეღარ გამოგდით, თქვენი ბავშვები ვერ დაისვენებენ შობის არდადეგებზე კორტინა დ'ამპეცოებში და ალპებში? იჭერენ თქვენ მათხოვარ ფავორიტებს? ო, ამერიკის ბობოლა ჩინოვნიკებო, დედამიწას თქვენ საკუთრებად რომ თვლით და საქართველოს ბედი კი ფეხებზე გკიდიათ?

ცოტა ჭამეთ, არა? ძალიან გაბრაზდით, არა? ულამაზეს მაიამიში სახლებს ვეღარ ყიდულობთ? თუ სამართალი სამუდამოდ არ დაასამარეს ცივილიზაციის ერთგულმა შვილებმა (მე კი მჯერა რომ ჯერ ცოცხალია), თქვენც მოგივლით კანონი, ღვთის კანონი მაინც, სულიან-ხორციანად გახრწნილო ლობისტებო ამერიკის ევროპის და საქართველოსი”.

ბატონი რობერტის ეს მწარედ ნათქვამი სიტყვები არა მხოლოდ დასავლეთევროპელი ჩინოვნიკების გახრწნილობის მხილებაა, ეს ულმობელი განაჩენი გახლავთ, რითაც კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ერთმანეთს მჭიდროდ გადაბმული შინაურ-გარეული გახრწნილი ადამიანების ადგილი ციხეშია. მაგრამ, თუ ქართულ მართლმსაჯულებას არაკეთილსინდისიერ ევროპელ ჩინოვნიკებზე დამსჯელი ხელი არ მიუწვდება, მათ ადგილობრივ **“პადელნიკებს”** საკმაოდ დიდი ხნით მოუწევთ ციხის კედლების ხეხვა იმ ავკაცობისათვის, რასაც დღეს ევროპელი ჩინოვნიკები ცდილობენ **“პოლიტიკურ დევნად”** შემოგვაჩეჩონ!

არაფერი გამოუვათ, რადგან დამნახავი კარგად ხედავს, თუ როგორი ძალადობითა და საძრახისი მეთოდებით მართავდნენ საქართველოს 9 წლის განმავლობაში **“ნაციონალი”** გადამთიელები და მათი **“ნეტარღიმილიანი ბელადი”** სააკაშვილი, როგორ ძალადობდნენ ისინი მათივე ვერაგობით გაღატაკებულ მოსახლეობაზე, როგორ მხეცურად უსწორებდნენ ანგარიშს პოლიტიკურ ოპონენტებს...

ახლა მხოლოდ რამდენიმე შეკითხვა გვინდა დავუსვათ მიხეილ სააკაშვილისა და მისი კრიმინალური გარემოცვის თავგამოდებით დამცველ ევროპელ თუ ამერიკელ ჩინოვნიკებს: მიაჩნიათ თუ არა მათ კრიმინალურ ქმედებად საქართველოს **“ნაციონალური ხელისუფლების”** მიერ ჩადენილი რიგი დანაშაულებებისა და სად იყვნენ ისინი მაშინ, როცა:

– ე.წ. **“ქართველმა სამართალდამცავებმა”** მხეცური წამებით მოკლეს სანდრო გირგვლიანი, როცა დღისით-მზისით, ქალაქის ცენტრში ჩაცხრილეს უდანაშაულო ახალგაზრდები რობაქიძე, ვაზაგაშვილი, ხუბულოვი, წერეთელი (სულ ასზე მეტი უდანაშაულო ადამიანი)...

– სად იყავით მაშინ, როცა სააკაშვილისა და მისი ყურმოჭრილი მონების მიერ არაადამიანური სისასტიკით ირბეოდა 2007 წლის ნოემბრისა და 2011 წლის მაისის მშვიდობიანი საპროტესტო აქციები და როცა მაღაზიის სახურავზე შეყარეს ძალოვანთა მიერ დახოცილი ადამიანები?

– სად იყავით მაშინ, როცა ავადსახსენებელი მიხეილ სააკაშვილის ზონდერებმა ვანდალურად დაარბიეს და შემდეგ ყაჩაღურად მიიტაცეს ტელეკომპანია **“იმედი”?**

– სად იყავით მაშინ, როცა უსაშველოდ გადაჭედილ ქართულ ციხეებში პატიმრებს დაუჯერებელი მეთოდებით აწამებდნენ **“ნაცების”** მიერ დაგეშილი ზედამხედველები?

– სად იყავით მაშინ, როცა მოუვლელობით და არასათანადო მკურნალობის მიზეზით ქართულ ციხეებში თითქმის ყოველდღიურად იღუპებოდა თითო პატიმარი?

– სად იყავით მაშინ, როცა წინასაარჩევნოდ ოპოზიციური ძალების აქტივისტებს ქვების სროლით ხვდებოდნენ ნაციონალების **“დამკვრელურ ძალად”** წოდებული ზონდერები, ოპოზიციური ტელეარხების ჟურნალისტებს კი კუდში დასდევდნენ და ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ ჩასუქებულ-ჩაკურატებული ალისტრახოები და მისნაირი არსებები?

– სად იყავით მაშინ, როცა სახელმწიფო აუდიტის **“ლაბორატორიაში”** სპეციალურად გამოყვანილი მოგელაძეები და მისი მსგავსნი, თითიდან გამოწოვილი ბრალდებით, ასტრონომიული თანხებით აჯარიმებდნენ ბიძინა ივანიშვილსა და მისი პოლიტიკური გუნდის წევრებს?

– სად იყავით მაშინ, როცა, ნაციონალების მითითებით, საბაჟოებზე მწყობრიდან გამოჰყავდათ ძვირფასი სატელევიზიო აპარატურა და სრულიად უმიზეზოდ აყადაღებდნენ ქართული მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადასაცემ სატელიტურ ანტენებს?

უსასრულოდ შეიძლება სააკაშვილისა და მისი **“ნაცების”** მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩამოთვლა, მაგრამ, ნუთუ აქ დაკონკრეტებული დარღვევები არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს **“ნაციონალური”** მთავრობა კრიმინალად იქნან აღიარებული?

ან მაშინ სად იყვნენ სააკაშვილის დასავლელი ქომაგები, როცა ამ მართლაც მანიაკის დანაშაულებრივი ბრძანებით დაიბომბა მძინარე ქალაქი ცხინვალი, როცა მან ბრძოლის ველზე, სამარცხვინოდ მიატოვა აგვისტოს მცხუნვარე მზეში დაყრილ ქართველ მეომართა ცხედრები და თბილისში ტაშ-ფანდურა გამართა რუსებზე **“დიდი გამარჯვების”** აღსანიშნავად, შემდეგ კი, გორში, მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ხმის გაგონებისას, ლაჩრულად მიატოვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუშნერი და მიწა ახნა ცხვირით. შეიძლება ლაჩრობა იურიდიულად დიდი დანაშაული არ იყოს, მაგრამ მორალური თვალსაზრისით ხომ იგი ყოველთვის მართლაც უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა საქართველოში. მორალური კუთხიდან მაინც მიგეცათ შენიშვნა თქვენი **“ერთგული პროტეჟე”** ლაჩარი სააკაშვილისათვის, მაგრამ, როგორ შეიძლება მორალური სიმტკიცე მოგთხოვოთ თქვენ, მუქთა საშოვარზე გადაგებულ არარაობებს, რომელთაც ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გაგაჩნიათ მორალსა და ზნეობაზე და, ცხოველური ინსტინქტით, მხოლოდ დიდი ფულის მუქთად მოხვეჭაზე ხართ ორიენტირებული.

ახლა კი, სწორედ იმიტომ წიოკობთ, რომ საქართველოს უშიშროების საბჭოს მეშვეობით ვეღარ იჯიბავთ ამ დიდ ფულს!

მართლაც რა საცოდავები ხართ!

ახლა იმასაც გკითხავთ:

– არიან თუ არა კრიმინალური ელემენტები საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და მისი კოლეგა-თანამშრომლები, რომელთა უწყებაში უგზოუკვლოდ **“გამქრალი”** 16 მილიონი დოლარისათვის ჯერ კიდევ ვერ მიუგნიათ ფინანსურ ექსპერტებს?

– არის თუ არა კრიმინალი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე გივი თარგამაძე, რომელსაც ბრალი ედება რუსეთის ოპოზიციური ძალებისათვის **“შავი”** ფულის გადაცემაში, რაც ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად იყო გამიზნული?

– არის თუ არა კრიმინალი თავდაცვის მაშინდელი მინისტრი ბაჩო ახალაია, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის უხარისხო ავტომატური იარაღის მაღალ ფასებში შესყიდვის ოპერაციებში?

– არის თუ არა კრიმინალი კულტურის მაშინდელი მინისტრი, ყოფილი **“მხედრიონელი”** ნიკა რურუა, რომელსაც ხელზე სცხია უამრავი დახოცილი ახალგაზრდის სისხლი?

– არის თუ არა კრიმინალი ქალაქ თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელიც ყოველგვარი ტენდერის ჩატარების გარეშე აწარმოებდა სხვადასხვა საქონლის ათმაგ ფასებში შესყიდვას, რაც საბიუჯეტო თანხების მითვისების საშუალება გახლავთ. სად იყავით მაშინ, როცა უგულავასთან დაახლოებული ფირმა კიპარისების თითო ნერგს ყიდულობდა 1000 ლარზე მეტ თანხად, მაშინ, როცა მათი საბაზრო ღირებულება ოც ლარს არ აჭარბებდა? სად იყავით მაშინ, როცა უგულავა, პირადი განკარგულებით, ახლადაგებულ საცხოვრებელ სახლებს უნგრევდა მოქალაქეებს და ქუჩაში ყრიდა მათ?

– სად იყავით მაშინ, როცა თბილისის ციხეები უდანაშაულო ხალხით ივსებოდა, უდესიანები, ბასიშვილები და არანაციონალ ბიზნესმენთა და რიგით მოქალაქეთა ყაჩაღურად დამწიოკებელი სხვადასხვა ჯურის დამნაშავეები კი ამაყად თავაღერებული დაიარებოდნენ ქალაქში?

ახლა რომ გადმომდგარხართ მარტის მამლებივით მაღალ ტრიბუნებზე და საქართველოს ახალ ხელისუფლებას უყიჟინებთ ოპოზიციონერებისადმი პოლიტიკური დევნის თაობაზე, ნუთუ მართლა ისეთი ბრმები ხართ, რომ ნაციონალებისა და სააკაშვილის მიერ ოპოზიციისა და მთლიანად ქართველი ხალხისათვის გამოცხადებულ ტოტალურ პოლიტიკურ დევნას ვერ ამჩნევდით?

არა, ბატონებო! ყველანაირ სააკაშვილისეულ სიგლახეს ძალიანაც კარგად ამჩნევდით, მაგრამ იგივე მიხეილ სააკაშვილის ხელიდან უხვად იკვებებოდით და ამ **“მარჩენალ”** ხელს ხომ არ უკბენდით!

ახლა კი, როცა დაგაკლდათ სალაფავი, ისეთი გნიასი ატეხეთ, რომ საქმეში ჩაუხედავი კაცი მართლაც იფიქრებს – საქართველოში კუდიანებზე ტოტალური ნადირობაა გამოცხადებულიო!

ცდებით, ბატონებო, უფრო სწორად, სხვისი შეცდომაში შეყვანა გსურთ მაგ გნიასით – საქართველოში კეთდება ის, რაც უნდა გაკეთდეს, შეიძლება საკმაოდ შემცირებული მასშტაბითაც კი, რადგან, დღევანდელმა სამართალდამცავებმა ყველა დამნაშავე ნაციონალი რომ დააპატიმრონ, პარლამენტში შეიძლება სულ რამდენიმე მათი წარმომადგენელი დეპუტატი დარჩეს, ვიდრე ისინიც არ გადაუყვანიათ არაადამიანობის რელსებზე იქ ჩაყუჩებულ **“ნაც”** მოძალადეებსა და მკვლელებს!

ამიტომაცაა საჭირო მათი დროულად ნეიტრალიზება!

რაც შეეხება ჩვენს დასავლელ პოლიტიკურ სუფლიორებს, დღეს რომ არამკითხე მასწავლებელი ჰყავს საქართველოს, ამდენი არასოდეს ჰყოლია.

არამკითხე მასწავლებლებისთვის კი, როგორც ადრე ამბობდნენ, **“იუნნი პარკში”** რამდენიმე ვაგონია ჩამომდგარი!

როლანდ ჯალაღანია,
“ფაზისი”- ს და “აია”-ს აკადემიების
ნამდვილი წევრი

მოგზაურობანი

მთისკენ. – ხელუხლებელი სამეფო წიფლისა. – მისი გადარჩენის მიზეზი. ისიც გაიკაფება. – უღმერთო ბილიკი ანარიის მთისა. – გზის დამამშვენებელი: წყაროები, მთის ნაკადულები, ნისლი. – მმეორე გაზაფხული. – წყავის ბუჩქები. – დასასრული მთის გზისა.

ხორცის ჭამას ვათავებდით, თიფუს უფროსმა ერთი ნაჭერი თავისი არჩივისა კერძაულს გაუგზავნა მადლობის ნიშნად. დანარჩენებმა უფროსს მიჰბაძეს; მეც, რა თქმა უნდა. ამგვარად ნათავაზევი ხორცი ბლომად შეუგროვდა კერძეულს. ყველა ნეშოზე დააწყო, ხელში დაიჭირა, წინ წამოდგა და ყველას მადლობა გადაგვიხადა, თქვენი ნახელავი გაისსაცო! კერძაული, სანამ ჩვენ ვისხედით, არ დამჯდარა, სულ თავს გვედგა, საჭმელი არა დააკლდეთ-რაო.

ხორცის შემდეგ ახლადამოღებული ყველი მოგვიტანეს. თითოს ნახევარ-ნახევარზე მეტი გვერგო. ზოგი ისე ვჭამეთ, ზოგიც შეგვიწვეს,– გემო გამოეცვლებაო. ყველს მაწონი მოჰყვა, ჩაყვებში ჩასხმული. თითო ჩაყვაში თითო ჩარექი მაინც ჩავიდოდა, სულ უკანასკნელი. მე კოვზი მოვითხოვე მაწვნის სახვრეპად, ისინი კი პირდაპირ მიიყუდებდნენ და უკოვზოდ ხვრეპდნენ. როგორც იყო, ჩაყვა ნახევარზე დავიყვანე. ყველამ გაიკვირვა – ეს რა ცოტა მიირთავო! თუ ცოტა ხანი მოგიგვიანდათ ჩვენთან, თქვენც ჩვენსავით შეეჩვევით ბევრი საჭმლის ჭამასაო. იმედი გაუმართლდათ: ოთხი დღის შემდეგ ჩემს ჩაყვაში ქობა აღარ რჩებოდა მაწვნისა. ნავახშმევს ყველას ხელი დაგვაბანინეს და პირი გამოგვარეცხინეს.

როგორც ხედავთ, ვახშამი ისე გათავდა, ღომი არ გვიჭამია, ცარიელი ხორცისა და ყველის მეტი. ღომი აქ ნატვრის საგანს შეადგენს და იშვიათად ამშვენებს მწყემსების სუფრას. ერთი კია, როცა პირველად ამოვლენ ბარიდან, თან წამოიღებენ რამდენიმე ქილა სიმინდის ფქვილს და ერთი კვირის განმავლობაში ხარშავენ ღომსა და მერე კი მთელი ზაფხული ცარიელ ყველსა და მაწონზე გადადიან. ათასში ერთხელ მთიდან ბარში ჩასული და უკან დაბრუნებული მწყემსი თუ ამოიტანს გამომცხვარ მჭადსა. უნდა უყუროთ, რა სიხარბით დაესევიან! ერთი ასეთი შემთხვევის მოწმე მე თვითონ ვიყავი შემდეგში. მწყემსები თორმეტამდე იყვნენ. გასჭრეს მჭადი და თითოს ორ-ორი თითის დადებადა ერგო. ისე სჭამდნენ ყველთან, როგორც ბარად ყველსა სჭამენ მჭადთან ან ღომთან.

ამიტომ, ადვილად მიხვდებით, რა სასოებით შეექცეოდნენ ჩემგან ატანილ ორცხობილას... პირველ ღამეს ყველას თითო-თითო დავურიგე. მათ მადლობას საზღვარი არა ჰქონდა. მეორე დღეს, როცა სეირნობის შემდეგ ბინაზე დავბრუნდი, ჩემი ხურჯინი გავსინჯე, სამოციდან ერთიც არ იდო წამლად. პატარა მწყემსებს ისე გაუტკბათ თურმე, რომ ჩემი გულკეთილობით უსარგებლნიათ (მაინც არ გაგვიწყრებაო) და უბოდიშოდ სულ ამოელაგებინათ. მთელი დღე ახრამუნებდნენ მთის ღადა-ღუდაში, არავინ დაგვინახავსო. დავღონდი ცოტათი, ცარიელ მაწონს რა მაჭმევს-მეთქი! მაგრამ გვიან-და იყო, თითზე კბენამ ვერა-რა მარგო. ვსთქვი, – ბარად დაწყობილი გეგმა მთაში არ გამოადგება კაცსა-მეთქი,– და ამით ვინუგეშე თავი.

– – –

მეცხრე საათი იქნებოდა, ყველანი ძილის თადარიგს შეუდგნენ. მე, პატივისცემის ნიშნად კარვის უფროსმა თავისი ჰუშტი დამითმო და ზედ კვახჩები გააშლევინა. ძალიან მაგარი დასაწოლი იყო, ჭიგოებმა ფერდები არ შემარჩინა, ზოგი ხორკლიანი იყო და უსულღმერთოდ მჩხვლეტდა, მაგრამ ასეთი ტახტისათვის ზენაარს მადლობას ვსწირავდი. ზედ საზამთრო საბანი და საზამთროვე გვაბანაკი წავიხურე, თავთ უნაგირის ბალიში ამოვიდე და დასაძინებლად მოვემზადე. ახალგაზრდებმა ცეცხლი წაიღეს და მოშორებით დაწოლილ თხებს გარს შემოუწვნენ. ბინაზე დარჩენილებმა ტყავის ქალამნები გაიხადეს, შორი-ახლო მიწაში ჩაფლეს, რომ, ერთის მხრით, დარბილებულიყვნენ და, მეორეს მხრით, ქოფაკებს არ შეეჭამათ. ქვეშ იმათ კვახჩები ამოიდეს, გაეხვივნენ თავიანთ მოკლე ნაბადში და ცოტა ხნის შემდეგ ხვრინვა ამოუშვეს.

ძნელად დამავიწყდება ეს პირველი ღამე მთაში. აქეთ-იქით მთის მწვერვალნი ჩარჩოსავით შემოგვკვროდა. ვარსკვლავებით მოკირწყლული ცის სივრცე ზედ დაგვყურებდა. გაბადრული მთვარე ამ ვარსკვლავთკრებულს შორის მოცურავდა და სხივნი მისნი ნაირ-ნაირად სცვლიდნენ მიდამოსა. ღამის მნათობის ჩრდილი ხან ერთი მთის ფერდს გადაეფინებოდა და ხან მეორეს, და საოცნებო სახე ეძლეოდა ყველაფერს. დიდხანს, სულ დიდხანს ვსტკბებოდი ამ სურათითა, სულითა და ხორცით ვისვენებდი. გრილი ნიავი, ჯიშთებით (ჯიშთი – ხევში ჩარჩენილი თოვლია, როცა უნდათ ხორცი შეინახონ და არ გაუფუჭდეთ, მწყემსები ამ ჯიშთებში ჩაფლავენ. მწყემსებისათვის ჯიშთი საჟინულეს მაგიერია.) ამოვსებულ ხევიდან წამოსული, ჩემს სახეს ოდნავ ჰკაწრავდა.

ყველამ დაიძინა. საიდანღაც დათვი გაჩნდა. ყურებდაცქვეტილმა ქოფაკებმა დროზე გაუგეს და ყეფა ასტეხეს. მათს ყეფაზე მწყემსებიც აიშალნენ და გააბეს ყვირილი. მანამდე არ დასცხრნენ, სანამ ცხრამთა არ გადაალახვინეს ავის განზრახვით მოსულ **“უწმინდურსა”.** ღამეში ხანდახან რამდენჯერმე დაუფრთხობს ხოლმე ძილს მწყემსებს მგელი თუ დათვი.

დათვს სამურზაყანოში ორი სახელი ჰქვიან: თუნთი და უწუნდური (უწმინდური). საზოგადოდ მავნებელ სულდგმულთ აქ ორნაირი სახელი ჰქვიან: ერთი – ნამდვილი და მეორე მოგონილი. ცდილობენ ყოველთვის მოგონილი სახელი დაუძახონ ხოლმე ამგვარ სულდგმულთ, იმიტომ რომ, ამბობენ, ნადვილი სახელი რომ დავუძახოთ, ეგონება – გვეძახიანო, მოვლენ და დაგვაზიანებენო.

მგელს, დათვს, ტურას მეგრულად საერთოდ **უშინუ** (უხსენებელი) ჰქვია. ესე იგი, ისეთი არსებანი, რომელთა სახელის თქმა არ შეიძლებაო.

კერძოდ, დათვს, როგორც ზევითაცა ვსთქვით, **“უწუნდური”** (უწმინდური) და **“ბურდღინა”** (მობურტყულე) ჰქვიან, მელას – **“მაძვაძვალე”** (ჩაქ-ჩაქით მოსიარულე) და **“უჭუ-უხაშუში მაჭკომალი”** (უწვავ-უხარშავის მჭამელი), ტურას – **“კვალი-ჭყელი”** (კვალ-დაწყევლილი) და **“მოცქვაცქვალე”** (ცუცუნა), გველს – **“უჩადართამი”** (შავდართიანი) და **“თუდო გილეს-არგალუნი”** (ძირს რომ დაეთრევა), თაგვს – **“კუდელამი”** (კუდიანი) და **“კიბირ-მოჭკადილი”** (კბილმოჭედილი), ჭიანჭველას – **“პუხმეტახილი”** (წელმოწყვეტილი). თაგვსა და ჭიანჭველას გამოცვლილ სახელებს ქალები განსაკუთრებით მაშინ უძახიან, როცა აბრეშუმის ჭია უსხედთ და თანაც დაატანენ: **“ოშგოლაშ ვიშო”** – ასი მთის იქით. ესე იგი, ასის მთის იქით მისი თავიო! ქორს – **“ჟინმალუ”** (ზევით, ცაში მოსიარულე) ჰქვიან. ყვავს – **“დუდ-უჩა”** (შავ-თავა). მატლს – სამ ნაირ სახელს ეძაიან: **“ოჭიშიშ მაზიმალი”** (ზურგის მზომელი), **“თელი”** (მთელი, ცოცხალი) და **“შურდგუმილი”** (სულდგმული). თუ საქონელს იარაზე მატლი გაუჩნდა, განსაკუთრებით მაშინ ერიდებიან მატლს ნამდვილი სახელი დაუძახონ. ქათმის ჭირს **“ივანია”** ჰქვია მეგრულად. თუ ქათმებს დაერია, იტყვიან, ჩვენს ქათმებს **“უსახელე”** (უსახელო) დაემართაო.

გარდა ამისა, თუ ნადირმა რამე ზიანი მოგაყენათ, ან აბრეშუმის ჭიას თაგვი და ჭიანჭველა დაეხვია, ან და ქათმები და საქონელი ჭირმა დაგიწყვიტათ, სხვის სახლში თქვენს გაჭირვებას ვერ იტყვით. ვითომ, რაც თქვენ გადაგხდათ თავზე, ვისაც უთხარით, იმას გადაედებაო. თქვენი ლაპარაკის შემდეგ თუ რამე მოუვიდათ, იტყვიან (თქვენზე): **“მხარით მოიტანა** (მარცხი) **და დამისვაო”**.

– – –

აჰა, ინათა. სიბნელემ სინათლეს დაუწყო ბრძოლა. სიცივე უარესადა გვკბენს. ხუთის ნახევარზე უკვე ფეხზედა ვართ. დაგუგუნებულ ცეცხლს ძალზე ვეტანებით. ღამის სინათლე შეჰკრთა. ერთბაშად ნათელი მოეფინა ქვეყანას. აღმოსავლეთი სისხლის ფერად შეიღება. შორს, უმტვერო თოვლით გადაპენტილ მთის მწვერვალებს სხივი მოხვდა მზისა და ათასფერად აანრჭყვიალა. ამასობაში, ამოიზიდა დიდებით და ძლევამოსილებით მორჭმული მნათობი, უხვ-სხივიანი, და პირველი სითბო გამოუგზავნა მის მადიდებელ ქვეყანას. ბამბის ქულა ნისლი შეკრთა, თავი აარიდა მინდორსა და მოდუდუნე ხევისკენ გაიპარა, დარცხვენილი. დედამიწამ მზის სითბოს თავისი, ალპიური ყვავილების სუნით შეზავებული, სუნთქვა შეუერთა. ღამის სიცივისაგან მიბნედილმა, სულგანაბულმა, უმანკომ, მთის მასურათებელმა ბალახ-ყვავილმა გამოიღვიძა, სახეზედ უსაზღვრო ტრფიალება გადაეფინა, კოპწიად თავი მაღლა აიღო და არშიყობა დაუწყო მზეს. დილის ცვარმა, ბალახზე შესკუპებულმა, მზეზე მარგალიტივით ბრჭყვიალი დაიწყო. საქონელიც აიშალა, მათს ბღავილს შორს მთამ მისცა ბანი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

აფხაზმა ალპინისტებმა არგენტინის უმაღლეს მწვერვალზე დროშა აღმართეს

აფხაზეთის რესპუბლიკის სპორტულ ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – აფხაზმა ალპინისტებმა სამხრეთ ამერიკის კონტინენტის უმაღლეს წერტილში აფხაზეთის სახელმწიფო დროშა აღმართეს. ამის შესახებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას რესპუბლიკის ინტერნეტგამოცემა „**abkhazeti.info**” ავრცელებს. ექსპედიცია არგენტინის ანდებში მდებარე აკონკაგუას მთაზე მიმდინარე წლის 20 დეკემბერს დაიწყო. აღნიშნული მთის სიმაღლე 6.962 მ-ს შეადგენს და იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ურთულეს სამთასვლელო ტრასად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ახლა სამხრეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში ზაფხულია, აკონკაგუას მთაზე მაინც მუდმივი თოვლი დევს და ეს ზონა საკმაოდ ზავსაშიშადაც ითვლება, მაგრამ ჭეშმარიტ სპორტსმენებს ამგვარი წინააღმდეგობები არ აკრთობთ. საქართველოს ალპინისტებთან ერთად მსოფლიოს მწვერვალების დალაშქვრაში ხშირად მონაწილეობდნენ აფხაზი მთასვლელებიც, რომელთაც ამ სპორტის საკმაოდ მდიდარი ტრადიცია გააჩნიათ.

აფხაზეთის მედიის ცნობით, აღნიშნული სპორტული პროექტი აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ბიზნესმენმა ბესლან აგრბამ დააფინანსეს. ექსპედიცია დაკომპლექტებული იყო აფხაზი მთასვლელებისაგან და მას მსოფლიოში ცნობილი ალპინისტი იოჰან ერნსტი ხელმძღვანელობდა.

„აღნიშნული ექსპედიციის მიზანი, რომელიც სულ რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდა და წარმატებით ჩაიარა, არგენტინაში, აკონკაგუას მწვერვალზე აფხაზეთის სახელმწიფო დროშის აღმართვა გახლდათ“, – იტყობინება აფხაზური მედია.

აფხაზეთის დედაქალაქი და თურქეთის ქალაქი სიდე დამმობილდნენ

სოხუმისა და სიდეს დამმობილების ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სუხუმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალიას ლაბახუამ და თურქეთის ქალაქ სიდეს მერმა აბდულკადირ უჩარმა.

“დღევანდელი დღე მეტად მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და თურქეთის ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებში” – აღნიშნა ქალაქ სიდეს მერმა ორ ქალაქს შორის დამმობილების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ – ქალაქები სოხუმი და სიდე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. სოხუმი 2.500 წლის ქალაქია და თითქმის ამდენივე წელს მიითვლის სიდეც. სოხუმიცა და სიდეც უნიკალური ზღვისპირა კურორტები არიან, განუმეორებელი პეიზაჟებითა და განსაკუთრებული მიკროკლიმატით. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სოხუმი აფხაზეთის დედაქალაქია, სიდეს კი მორიდებული ადგილი უკავია თურქეთის ქალაქებს შორის. აბდულკადირ უჩარმა ასევე ყურადღება გაამახვილა დამმობილებულ ქალაქთა ეკონომიკურ პოტენციალზე და მათი ეკონომიკური კავშირების დაახლოების გზებზე, რაც ურთიერთსასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის. მან აგრეთვე გულითადი მადლობა გადაუხადა აფხაზ მასპინძლებს თურქების დელეგაციის თბილი მიღებისათვის.

მიესალმა რა სტუმრებს, სოხუმის მერმა ალიას ლაბახუამაც გაამახვილა ყურადღება ამ ორი უძველესი ქალაქის მდიდარ ისტორიაზე, მათ სილამაზესა და საკურორტო მნიშვნელობაზე.

– ჩვენს ქალაქებს დიდი და მდიდარი წარსული გააჩნიათ, რაც სოხუმისა და სიდეს დამმობილების ქვაკუთხედი გახლავთ, განაცხადა არსლან ლაბახუამ. – დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა თურქეთისა და აფხაზეთის დაახლოების საქმეში.

ლაბახუამ აღნიშნა, რომ სოხუმსა და სიდეს შეუძლიათ განავითარონ ურთიერთობები ეკონომიკურ, კულტურულ და ტურისტულ სფეროებში.

თურქეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა კულტურისა და ხელოვნების ყოველწლიური ფესტივალის ორგანიზატორი რემზი ბახარლი. აფსნიპრესის კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ გადაწყვიტა ერთ-ერთ ფესტივალზე აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების დარგების წარმომადგენელთა მიწვევა, რომელიც უკვე 12 წელიწადია ტარდება ზაფხულის დასვენების პერიოდში – ივლის-აგვისტოს თვეებში.

– როგორც წესი, აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობენ მთელი მსოფლიოს კულტურისა და ხელოვნების პოპულარული შემსრულებლები, ასევე თურქეთის საკონცერტო კოლექტივები. ღონისძიება ტარდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ჩვენ აფხაზეთიც მოვიწვიეთ ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად,– განაცხადა ბახარლიმ. მისივე სიტყვებით, სიდეში ყოველწლიურად დასასვენებლად სამ მილიონამდე ტურისტი ჩამოდის ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც სიამოვნებით ესწრებიან ხოლმე ფესტივალის ეგიდით გამართულ კონცერტებს.

დავძენთ იმას, რომ სიდე ტურისტების სიმრავლით გამოირჩევა შავი ზღვის კურორტებს შორის.

გვერდში გამოყენებულია აფხაზეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო “აფსნიპრესის” მასალები

ᲒᲝᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲗ

როგორც საქინფორმი კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობაზე დაყრდნობით უკვე იტყობინებოდა, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში 2011 წელს დემონტირებული სტალინის ძეგლი აღადგინეს და უახლოეს ხანებში მისი გახსნა იგეგმება.

ამავე დროს, ცნობილი შეიქნა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქალაქ გორის მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო ქალაქის ცენტრში სტალინის ძეგლის დაბრუნების მოთხოვნით. საბჭოთა ბელადის ძეგლი აქ, როგორც ცნობილია, 1950-იანი წლების დასაწყისში დაიდგა, მისი დემონტაჟი კი 2010 წელს განხორციელდა. ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას მაშინ მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც სტალინი რესპუბლიკის ოკუპაციაში დაადანაშაულა – სააკაშვილი და მისი გუნდი **„ოკუპაციად“** ნათლავდა სსრკ-ის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის პერიოდს. იმჟამად ქალაქის ხელმძღვანელობა გორელებს შეჰპირდა, რომ ძეგლს სტალინის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე გადაიტანდა, თუმცა, დაპირება არ შეასრულა. მოგვიანებით სტალინის ძეგლი გორიდან რამდენიმე კილომეტრში ძველი შენობის ნანგრევებში პირქვე დაგდებული აღმოაჩინეს.

იმხანად გორის ცენტრალურ მოედანზე, სტალინის ძეგლის ადგილას, საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომისა და სტალინის რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალის დადგმა იგეგმებოდა, რაც გორელებს მაინცდამაინც ჭკუაში არ დასჯდომიათ, თუმცა, უცნობი მიზეზებით, ადგილობრივ ხელმძღვანელობას არც ეს მოუმოქმედებია.

2012 წლის ოქტომბერში გორში 5 ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა ცენტრალურ მოედანზე სტალინის ძეგლის დასაბრუნებლად. ამასთან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ირწმუნებიან – **„გორის მცხოვრებთაგან ან მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისგან არავითარი მოთხოვნა არ მიგვიღია. ამ საკითხზე ჩვენამდე არ მოსულა რაიმე დოკუმენტი ანდა თხოვნა“.**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ: “ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝᲜ”

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გენერალურ პროკურატურაში დასაქმების ყოფილ მინისტრ პაატა ტრაპაიძეს დაიბარებენ და მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. გამოძიება მას, სხვა მრავალ სადავო საქმეთა შორის, ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის და მასზე გახარჯული ასეულობით მილიონი ლარის კანონიერებაზე და უსვამს შეკითხვებს.

პაატა ტრაპაიძის აღზევება შევარდნაძის მმართველობის ხანაში დაიწყო. 1996 წელს შევარდნაძის მძახალმა გურამ ახვლედიანმა ჩამოაყალიბა **“ისთგეით გრუპი”**, ჰოლდინგი, რომელიც 5 კომპანიას აერთიანებდა. ერთ-ერთი კომპანია შპს **“ჯორჯიან ტრანზექსპედიცია”** ახვლედიანმა პაატა ტრაპაიძეს ჩააბარა. სწორედ ამ კომპანიას მიენიჭა საქართველოში ბამბის შემოტანის ექსკლუზიური უფლება შუა აზიიდან.

2003 წელს კი, **“ვარდების რევოლუციამდე”** ცოტა ხნით ადრე, ტრაპაიძე-ახვლედიანის ტანდემს ბზარი გაუჩნდა და მათი გზებიც გაიყარა. ტრაპაიძე ე.წ. ვარდოსნებს **“შეეკრა”** და მომავალი კეთილდღეობისკენ გზაც გაიკაფა. ის კვლავ განაგრძობდა ბამბის შემოტანას. 2004 წელს კი ტრაპაიძე დიდ შარში გაეხვია: კომპანია **“ჯორჯიან ტრანზ ექსპედიციის”** კონტეინერში აზერბაიჯანელმა სამართალდამცავებმა ბამბაში შეფუთული ტონობით ნარკოტიკი აღმოაჩინეს. ნარკოტიკები ადგილზევე გაანადგურეს, ხოლო პაატა ტრაპაიძე, როგორც გადამზიდავი კომპანიის ხელმძღვანელი, რატომღაც არავის დაუსჯია, პირიქით – ვარდების ხელისუფლებამ 2005 წელს ტრაპაიძე კომპანია **“კავკაზუსპროექტის”** დირექტორად დანიშნა და საქართველოში ხიდებისა და ავტობანის მშენებლობის ექსკლუზიური უფლებაც მიანიჭა. ამ კომპანიის აშენებულია ქუთაისში პარლამენტის შენობა. სწორედ ქუთაისის პარლამენტის მშენებლობაზე გახარჯული თანხების კანონიერების დასადგენად იბარებენ მას გენერალურ პროკურატურაში.

გვესაუბრება **“ქართული ოცნების”** ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ:

– პაატა ტრაპაიძე დასაქმების მინისტრად პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა წარადგინა და ქართველი საზოგადოება დაარწმუნა, რომ დასაქმების მინისტრი უმუშევრობის პრობლემას მოაგვარებდა, ბიუჯეტს კი 3 მილიარდი ლარით გაზრდიდა. საინტერესოა, დასაქმების სამინისტროს ისეთი რა სასწაული უნდა მოეხდინა, რომ ბიუჯეტი 3 მილიარდით გაზრდილიყო? ცხადია, ეს **“ნაციონალური მოძრაობის”** მორიგი ტყუილი იყო.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტრაპაიძეს პროკურატურა თანხების მითვისების შესახებ დაჰკითხავს. ცნობილია რომ ქუთაისში პარლამენტის შენობის სამშენებლო სამუშაოები ტრაპაიძის კომპანიამ შეასრულა. მართლა ისეთი სავალალო მდგომარეობაა ქუთაისის პარლამენტში, რასაც ამბობენ?

– საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, მსგავსი ოდენობის თანხა რომელიმე ობიექტზე დახარჯულიყო. ეს არის უსახური, ცუდად აშენებული და დაპროექტებული სიმახინჯე, ამ მშენებლობისთვის დახარჯული თითოეული თეთრის კანონიერება სამართალდამცველებმა უნდა შეისწავლონ და დამნაშავე პირები, პაატა ტრაპაიძე იქნება ის თუ მიხეილ სააკაშვილი, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ ადგილზე აღმართული, მერაბ ბერძენიშვილის შექმნილი **“გმირთა მემორიალი”** ააფეთქა, რასაც უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა და მიუხედავად მომხდარი უბედურებისა, მაინც დაიწყო პარლამენტის მშენებლობა. რამდენიმე თვეში მშენებლობას კიდევ ორი ადამიანი შეეწირა. ცოტა ხნის წინ კი ერთ-ერთ ოთახში სხდომის მიმდინარეობისას ჭაღი ჩამოვარდა. ბედად, იქ არავინ იყო, თორემ ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა.

– როგორც ირკვევა, პარლამენტის შენობაში უსაფრთხოების ნორმებია დარღვეული და ამჟამად ექსპერტთა რამდენიმე ჯგუფი მუშაობს. რას სწავლობენ კონკრეტულად?

– ეს შენობა, რომელსაც პარლამენტი ჰქვია, სათბურს უფრო ჰგავს, ეს არის დახურული სივრცე, სადაც უჟანგბადობის გამო სუნთქვა შეუძლებელია. ალბათ, ეგზოტიკური მცენარეებისთვის არის განკუთვნილი და არა ადამიანებისთვის. ახლა ექსპერტთა ჯგუფი შენობაში სწორედ ჟანგბადის დონეს, მის შემცველობას ამოწმებს. მე-4 და მე-5 სართულებზე, პრაქტიკულად შეუძლებელია სუნთქვა.

– გამოდის, წყალში გადაიყარა მილიონები?!

– ასე გამოდის. სწორედ ის ადამიანები უნდა დაისაჯონ, ვინც არაკვალიფიციურად, ნაჩქარევად ააგო პარლამენტის შენობა ქუთაისში, ვინც მისი ნაჩქარევად აშენების განკარგულება გასცა და ვინც შეასრულა ეს ბრძანება. შედეგად უსახური, მახინჯი და საპარლამენტო მუშაობისთვის გამოუსადეგარი შენობა მივიღეთ. პაატა ტრაპაიძემ არა მარტო ამისთვის უნდა აგოს პასუხი, არამედ იმ სხვა უამრავი, მახინჯი და უგემოვნო მშენებლობებისთვის, რაც მას კანონდარღვევით, ასეულობით მილიონის საფასურად, მიხეილ სააკაშვილის ახირებების გამო აუშენებია. ამის ერთერთი მაგალითია ანაკლიაში ხიდი, რომელიც წყალმა წაიღო, ამას კიდევ მეორე უსახური ხიდის მშენებლობაც მოჰყვა, რომელიც ასევე წყალმა წაიღო. როგორც ვიცი, ტრაპაიძის კუთვნილ კომპანია **“კავკაზუსპროექტს”** ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილისგან ჰქონდა მინიჭებული საქართველოში ხიდების, ავტობანის, გვირაბების და ა.შ. სხვა მრავალი მშენებლობის ექსკლუზიური უფლება. საინტერესოა, რისთვის და როგორ დაიხარჯა ასეულობით მილიონი. ჩვენი ხალხის მიერ გაჭირვებით გადახდილი გადასახადების თანხები ყოფილი ხელისუფლების კორუფციერებული კლანის ჯიბეებში მოხვდა და, ალბათ, სამართლდამცველები დაინტერესდებიან ამ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე პირთა საქმიანობით და მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, რამაზ ნიკოლაიშვილი და პაატა ტრაპაიძე კანონის წინაშე უნდა წარდგნენ!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ Დ. ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲥᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲑᲐ

პრეზიდენტის მიერ გაუქმებული ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება დროებითი იყო და 2013 წლის 1 იანვრიდან პრეზიდენტის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონით სავალდებულო გახდება. 2004 წლამდე ტექდათვალიერების ფორმა იყო მანკიერი, ფულს გადაიხდიდი და ტექპასპორტსაც ჯიბეში იდებდი. სააკაშვილმა ორი კურდღელი დაიჭირა, წინასაარჩევნოდ მომხრეების გული მოიგო, ტექდათვალიერება დროებით აიკრძალა და მეორე მხრივ, გამოაცხადა, რომ ეს იყო კორუფციის წყარო და ამოვქოლეო. გაზეთს ამ სკანდალური ინფორმაციის შესახებ დეტალებს **“დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს”** მთავარი საბჭოს წევრი, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი – შალვა ოგბაიძე უმხელს::

ტექდათვალიერების აზრი არის ის, რომ მანქანა შემოწმდეს საგზაო მოძრაობისა და გარემოს დაცვის კუთხით, უხეშად რომ ვთქვათ, მანქანას მუხრუჭები უნდა უჭერდეს და გამონაბოლქვით გარემოს არ უნდა აბინძურებდეს, მაყუჩი უნდა ჰქონდეს მწყობრში. ამ კუთხით, 2004 წლამდე ერთი მანქანაც არ ყოფილა დაბრაკული, ვინც ფულს იხდიდა, ყველას ჰქონდა ტექდათვალიერების საბუთი. ამ ფორმით არ უნდა ეარსება, უნდა შემუშავებულიყო ისეთი მექანიზმი, რომელიც ჯიბეს არ დაარტყამს და ავტომობილის მძღოლს ეცოდინებოდა, ნამუსიც კარგი საქონელია და უკან რომ ლურჯი ბოლი გასდის მანქანას და მუხრუჭი რომ არ უჭერს, მოხვევის მაჩვენებელი რომ არ მუშაობს, რაც ავარიის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია, ტექდათვალიერებას რომ თავი დავანებოთ, მძღოლს შინაგანი კულტურა უნდა ჰქონდეს, რომ ეს მოანესრიგოს და სხვას საფრთხე არ შეუქმნას. ეს იყო არსი უკეთესი მექანიზმის შემუშავებისა, მაგრამ სააკაშვილმა ეს გამოიყენა სოციალური კორუფციისთვის, – მოდი, მე შენ ტექდათვალიერებას გადაგივადებ, ოღონდ შენ მე არჩევნებზე ხმა მომეცი.

აქვე შეგახსენებთ, რომ სამარშრუტო ტაქსებისთვის ტექდათვალიერება გაუქმებული არ იყო, ეს გაუქმდა რიგითი მოქალაქეებისთვის და 2013 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდება ეს კანონი. ეს დღეც კარზეა მომდგარი და დააკვირდით, სააკაშვილი როგორი გაყუჩებულია, სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნებს იყენებს იმისთვის, რათა რაღაც იდეები ისროლოს იქიდან. სააკაშვილი სულხან-საბას მაოხრებელი გზირივითაა, მას ადამიანურად წასვლაც არ შეუძლია. სააკაშვილს შეეძლო გამოეცა ბრძანება, შემუშავებულიყო დოკუმენტი, დაწყებულიყო საზოგადოებრივი მსჯელობა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. ამიტომაც, მინდა ჩემს თანამოქალაქეებს თქვენი გაზეთით შევახსენო, – 2013 წლის 1-ელ იანვარს შესაძლოა, ჩვენი ავტომობილები კანონგარეშე აღმოჩნდეს. ამიტომაც ამას დროზე სჭირდება შველა...

– და მაინც, რას ნიშნავს ჩვენი ავტომობილები შესაძლოა, კანონგარეშე აღმოჩნდეს?

– თუ წაიკითხავთ კანონს, 45-ე პრიმა მუხლი, კანონი საგზაო უსაფრთო მოძრაობის შესახებ, გარდამავალ დებულებებში წერია: მსუბუქი ავტომობილებისთვის ტექდათვალიერების სავალდებულობა გადადებულია 2013 წლის 1-ელ იანვრამდე. ამ თარიღამდე ჩვენ ავტომობილების ტექდათვალიერებას არავინ გვავალდებულებს, მაგრამ, თუ ხელისუფლებამ რამე არ იღონა და არ გამოიცა საკანონმდებლო ნორმატიული აქტი, აღმოჩნდება, რომ ავტომატურად შედის ძალაში 1-ელ იანვარს ტექდათვალიერება.

ახლა ორ ნაწილად გავყოთ და ვთქვათ, რა ეშველება საკითხს. პირველი – რაც შეიძლება მალე უნდა წავიდეს სააკაშვილი, რადგან ჩვენ ის ბევრჯერ აღმოგვაჩენს მსგავს სიტუაციაში და მეორე, – სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ შემუშავება სამოქმედო გეგმის, ეტაპობრივად, ნელ-ნელა გადავიდეთ სავალდებულო ტექდათვალიერებაზე, რომ მოქალაქეების ჯიბე ამან არ აზარალოს, ძლივს რომ შეუკონიწებია ფული და მანქანა უყიდია კრედიტით, მისთვის ეს საკითხი არ უნდა იყოს მტკივნეული, ეს კი სააკაშვილის ინტერესში შედის, რომ გამოიწვიოს სოციალური მღელვარება. თქვენი ინტერვიუც ემსახურება ამ საკითხზე ღია, საჯარო დებატების გახსნას. მე, როგორც პროფესიონალი ექსპერტი, მზად ვარ, ჩავერთო ამ საქმეში, დაიწყოს ღია დისკუსია, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, ასევე, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და შევიმუშაოთ სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა გაახალგაზრდავდეს საქართველოში საავტომობილო პარკი, რადგან ყველაფრის თავი და თავი ხომ მოძველებული ავტომობილის პარკია, ადამიანებს უნდა მიეცეთ საშუალება, წინასწარ დაგეგმონ სატრანსპორტო საშუალების შეძენა, რომლის შემდეგაც არ გაუჩნდება დამატებითი პრობლემები. ამისთვის ვიმეორებ, რომ კარგია საჯარო დებატების გახსნა. მე, როგორც ექსპერტი, ვერანაირად ვერ დავუჭერ მხარს ისეთ ცვლილებას, რომელიც დაკავშირებული იქნება დრაკონულ მეთოდებთან. დღეს თქვენ ამ საკითხზე იმიტომ გელაპარაკებით, რომ აუცილებელია დროულად ვიდებატოთ ამ საკითხზე და დროულად იქნას სწრაფი გადაწყვეტილება მიღებული, არა ჩვენი მოქალაქეების ფინანსური გაჭირვების ხარჯზე.

Ნ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲜᲐᲛᲐᲒᲘ

დაიმახსოვრე: ეს ცხოვრება, ბაბუ, შარია,
როცა სამშობლო ნა-ობამარ-ნაბუშარია,
თუ არ მოჰკითხავ სოროსის და სხვების
გრანტიანთ,
დემონ-კრატია რად მოგვყიდეს
დემოკრატიად?!

***

ორ ზღვას შუა ძველისძველად
საომარი იყო ლელო.
ᲑᲐᲚᲐᲥᲢᲘᲝᲜᲘ

„ამერიკა რასიი პადარილა პარახოდ“,
მაგრამ მიხვდნენ რუსები, ამით ვის რა
ელოდა.
სათაგურში ყველია!
მსგავს ძღვენს ხელი არ ახლო,
თორემ რჩება სამშობლო კვლავ საომარ
ლელოდა!

***

ორჯერ ყავლგასულს ზედიზედ,
მოდით, ვურჩიოთ პრეზიდენტს:
„წასვლა სჯობს წარმავალისა,
არ დაყოვნება ხანისა“,
თორემ ხან ეს თქვეს, ხან ისა
და იმან წაახალისა,
რომ თვლიდნენ ბაქი-ბუქურას
„დემოკრატიის შუქურად“...
თუმცაღა იყო აშკარა,
ჯოჯოხეთს აკლდა მაშხალად!

***

ჩვენში ბევრი ფლობს ნიშასა,
მაგრამ ვერ ვხედავ ნიშანსა,
სააკაშვილსა მიშასა
შერჩეს, რაც დღემდე იშანსა.

***

ქვეყანა რომ ფეხზე დადგეს,
ვიცოცხლოთ და ვიმუშაოთ,
ახალი წლის ბედობა დღეს
უნდა შევხვდეთ უმიშაოდ!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

„მგელი არ მოდის!“ და... „დავმლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე!“

ჩვენც გვეგონა, რომ დავისვენეთ, რის საბაბს ისიც კი გვაძლევდა, რომ ქვეყნის ე. წ. **„პირველი ლედი“** ყოველი არჩევნების წინ **„ვოუ ნანა“**-ს გვიმღეროდა, ხოლო თავად პირველმა ხელისუფალმა, ერთხელ, დაუფარავად განაცხადა: **„მეგრულ ენას მე ყოველთვის დავიცავ, დედაჩემი მეგრელიაო.“**

მაგრამ, ასეთი ერთჯერადი სიცრუე, სიცრუეთა ნიაღვარში, რადა საყურადღებო უნდა ყოფილიყო მეგრეთმოძულე, შოვინისტური და ფაშისტური გრძნობებით შეპყრობილი იმერეთელი ტარიელ ფუტკარაძისა და მისი ამფსონებისათვის და ისინიც მათებურად უტევდნენ (და უტევენ დღემდე) მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებს და ამ ენების მატარებელ ხალხებს.

დიახ, **„იმერეთელს“** ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ ტარიელ ფუტკარაძე პირდაპირი ნაშიერია იმ **„ერთ-ერთი ქართველური ტომთაგანისა, რომელიც თავის დროზე შემოიჭრა კოლხეთის შიგ შუაგულში და გახლიჩა იგი“**... და რასაც, შედეგად, ლაზეთის დაკარგვა მოჰყვა.

ასეთ პირობებში, ნაცვლად იმისა, რომ ერთგვარი სინანულის გრძნობას და კრძალულებას მაინც გამოხატავდეს ამის გამო, პირველ რიგში, სწორედაც იმერეთელი ტარიელ ფუტკარაძე გამოდის საშინლად ბოროტი განაზრახის – მეგრელების, სვანებისა და ლაზების გადაშენებისაკენ წაბიძგების – მეთაურად, და წარბშეუხრელად და ნირშეუცვლელად განაგრძობს თავის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ და ფაშისტურ ქმედებას.

მას შემდეგ, რაც ტ. ფუტკარაძემ არ იკმარა ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული ანონიმური წერილით თავსლაფდასხმა, და აბსოლუტურად გაიშიშვლა საკუთარი თავი და სხვა ამფსონები, მათ შორის, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ამჯერად უკვე თავისი ინკოგნიტო მეგობრისადმი ინკოგნიტოდვე მიწერილი ინტერნეტსივრცეში განთავსებული წერილით, და რის გამოც ჩვენ ღია წერილით მივმართეთ **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს** (გაზ. **„ილორი“,** 193, 23-30 ოქტომბერი, 2012 წ.), არ გვინდოდა რომ ამ საკითხს დავბრუნებოდით. მაგრამ ეს განაპირობა ტ. ფუტკარაძის აღნიშნულ ინკოგნიტო წერილში მოცემულმა შემდეგმა სიტყვებმა: **„საპატრიარქოსი ერიდებათ, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ ეს ახლადაღმოცენებული კუთხისტები“**-ო.

რაოდენ თავხედი, უტიფარი და უზნეო უნდა იყოს ადამიანი (თუ ასეთ არსებას საერთოდ შეიძლება ადამიანი ეწოდოს), რომ „კუთხისტებად“ მონათლოს ერთ მილიონამდე მეგრულენოვანი ხალხი, ან თუნდაც მისი ის წარმომადგენლები, რომლებიც ეწევიან მეგრული ენის მეცნიერულად შესწავლასა და კვლევა-ძიებას, და რომელთაც, ჩვეულებრივ, საერთოქართულ ენასთან ერთად, ჭეშმარიტი მშობლიური სიყვარულით უყვართ საკუთარი აკვნის ენა (ენათმეცნიერული ტერმინით, ტომობრივი ენა) და ზრუნავენ მისი დაცვისათვის.

ჯერ ერთი, სხვანაირად როგორ წარმოუდგენიათ ტ. ფუტკარაძეს და სხვა მეგრელთმოძულეებს?

განა ნორმალურად მიაჩნიათ, მათ, ბრძოლა 10 მილიონამდე ხალხების ენების: – მეგრულის, ლაზურისა და სვანურის წინააღმდეგ, და ამით, – ამ ენებისა და მათი მატარებელი ხალხების მიწის პირისაგან გადაშენებისკენ წაბიძგების მათეული თავგამეტებული ცდა, ამ საოცრად განვითარებულ ეპოქაში, როცა დედამიწაზე მცხოვრები საშიში ქვეწარმავლებისა და მხეცების რაოდენობაც კი არის დათვლილი და გადაშენებისაგან მათი დაცვაა გამოცხადებული, როცა რიგ ქვეყნებში ქუჩის მაწანწალა ძაღლების დაცვის კომიტეტებიც კი არსებობენ?

ნუთუ, ამადაც არ გვთვლიან ესოდენ თავხედობისა, და უზნეობის გამომჩენი მეგრელთმოძულეები, აშკარა შოვინისტები და ფაშისტები? (ცხადია, ვისაც ეს ეხებათ!). სხვა რა სახელი შეიძლება ეწოდოთ, მათ?

მეორე და, მთლად გამაოგნებელი: რა მიაჩნია, ნეტავი, **„გადავლად“**, ტარიელ ფუტკარაძეს? რა შეიძლება იყოს იმაზე მეტი **„გადავლა“,** რაც პირადად მისი და მისი ამფსონების შესახებ არის აღნიშნული: 1) საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2007 წელს გამოცემულ 140-გვერდიან სპეციალურ კრებულში, სახელწოდებით: **„ქართული და ქართველური ენები („ერთი ენათმეცნიერული პოლემიკის“ გამო)“,** რაც ამ ინსტიტუტის მიერ ასევე სპეციალურად მოწვეული შეხვედრის ამსახველია და რაც პროფესორების: **მიხეილ ქურდიანის, გიორგი გოგოლაშვილის, თედო უთურგაიძის, დამანა მელიქიშვილის, ზურაბ ჭუმბურიძის, მერაბ ჩუხუას, ავთანდილ არაბულის, ჭაბუკ ქირიას, გუჩა კვარაცხელიას, ლალი ეზუგბაიას, კოტე გაბუნიას** და სხვათა გამოსვლებშია მოცემული, 2) რაც იმავე ჟურნალში გამოქვეყნებულ, ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის შედარებითი ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ **იოსტ გიპერტის** მიერ თბილისის უნუვერსიტეტის რექტორის სახელზე გამოგზავნილ წერილშია აღნიშნული, 3) რაც **ნინო დობორჯგინაძის, კუკურ ფიფიას** და სხვათა საგაზეთო წერილებშია მოცემული; 4) რაც ჩვენს არაერთ წერილსა და სტატიაშია წარმოდგენილი, და ა. შ. (მარტო მათ ჩამონათვალს გაზეთის ერთი გვერდი დასჭირდება).

რა ჯიშის არის ეს არსება, ნეტავი, რომ არაფერი არ მოქმედებს მასზე? უთუოდ ამგვარზეა ნათქვამი: **„მგელი არ მოიშლის მგლობასო“,** და **„გველს თავი თუ არ გაუჭეჭყე, არაფერი ეშველებაო“.** იქნებ, თავის გაჭეჭყვა მიაჩნია მას **„გადავლად“**? მაგრამ ამადაც რომ არ ღირს, იმიტომ დააქვს ის გველის თავი, ასე რიხით ზეაწეული.

საგაზეთო წერილში სიბრაზის გამოხატვა ჩვენი სტილი არ არის, პატივცებულო მკითხველო, რაზეც კეთილსინდისიერი ადამიანების წინაშე ბოდიშს ვიხდით, და აქვე მოგახსენებთ, თუ რამ გამოიწვია იგი:

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა ქვეყნის უგერგილო თავკაცების მიზეზით რომ მოხდა, ამას ვერავინ ვერ უარყოფს, მაგრამ, ვითარების შეფასება ნათელს ჰყოფს იმასაც, რომ მათი დაკარგვის პროცესი, სინამდვილეში, დაიწყო მაშინ, როდესაც ფსევდოპატრიოტმა ენათმეცნიერებმა (ვისაც ეს ეხებათ) გააჟღერეს, რომ აფხაზური ენა ერთ-ერთი ქართველური ენათაგანიაო; ასევე დაიწყო მათი დაკარგვის პროცესი იმ დროიდან, როცა ფსევდოპატრიოტმა ისტორიკოსებმა ხელი მიჰყვეს აფხაზეთის ისტორიის დამახინჯებას. სხვა, შედარებით წვრილმან ფაქტებს აქ არ შეეხებით.

ადამიანს შეიძლება ყველაფერი წაართვა, მისი სიცოცხლის ხელყოფაც სცადო, და, – ჯეროვნად არ გიპასუხოს, გაპატიოს კიდეც. მაგრამ როცა ადამიანს, და მაშასადამე, ხალხს ენას ართმევ და კედელზე მიაყენებ ან უფსკრულის პირას დააყენებ საამისოდ, შეუძლებელია მან ეს გაპატიოს, თუნდაც იმის საფასურად, რომ თავად გადაგჩეხოს იმ უფსკრულში, სადაც მას გადაჩეხვას უპირებ.

აფსუეები, ცხადია, არ არიან ქართველური ტომისანი და ამიტომაც, ბუნებრივია, ვერ მოითმინეს, და... ის გააკეთეს, რაც გააკეთეს. მეგრელები ქართველური ტომისანი არიან და არც კი უფიქრიათ ამგვარზე, ანუ ითმენენ ნათესავის წიხლებს, უკიდურეს პირობებამდე. მაგრამ, ვინ იცის, როდის დადგება უკიდურესი პირობები? როდის აივსება ფიალა? რაოდენობრივი ცვლილება როდის გადაიზრდება თვისობრივში? (ეს ხომ ბუნების კანონია). რა მოხდება მაშინ? ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი? თუმცა, ტ. ფუტკარაძეს და მისთანებს ხომ სწორედ ეს სურთ, დაუოკებლად!

როგორც ჩვენთვის ცნობილია, კარგა ხანია, გამოსულია საქართველოს ისტორიის ოთხტომეული, და მასში კვლავაც (ადრინდელზე უფრო მეტადაც) იგნორირებულია კოლხეთის ისტორია (?!).

იქნებ, **სერგი მაკალათიას** მეგრელობას (ან სულაც სეპარატისტულობას) დავაბრალოთ მისი განაცხადი იმის შესახებ, რომ **„საქართველოს ისტორია კოლხეთის ისტორიით იწყება და ამ ფაქტს ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის“,** მაგრამ რას შეიძლება დავაბრალოდ ქართული ისტორიის მამამთავრად აღიარებული დიდი **ივანე ჯავახიშვილის** შემდეგი გამონათქვამი?: **„საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით“.**

რატომ და ვის მიერ იქნა ჩასწორებული **ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიის“** I ტომი, გამოცემული 1908 წელს, რატომ იქნა ეს წიგნი გადამალული და არ შევიდა ჯავახიშვილის ტომეულებში თავისი პირვანდელი სახით?

რომელი ქართველი მეცნიერი აძლევს თავის თავს იმის უფლებას, რომ ივანე ჯავახიშვილზე უფრო მაღლა დააყენოს საკუთარი თავი და გაუსწოროს ანუ გაუყალბოს მას ნაშრომი **„ახალი მოთხოვნების“** თუ სხვა რამ საბაბით?

პირადად მე, არ წამიკითხავს, და არც წავიკითხავ ნაყალბევ ოთხტომეულს ამასწინათ გამოცემული საქართველოს ისტორიისას, იმიტომ, რომ, ვიცი, მისი ერთ-ერთი მთავარი შემდგენელ-გამომცემელთაგანი გახლავთ ცნობილი მეგრელთმოძულე აკადემიკოსი ქალბატონი, რომელიც განთქმულია საქართველოს ისტორიიდან კოლხეთის ისტორიის ამოძიკვა-ამოშანთვით, და, როგორც ნათქვამია, **„ნარეცხ წყალსაც კი არ გადმოასხამს“** სამეგრელოსკენ, თანაც, იქებს კიდეც: **„ჩვენ, აკადემიკოსებმა, მრავალჯერ გადავარჩინეთო საქართველო“.**

კი! „ნამდვილად „გადაარჩინეს“, ამგვარმა აკადემიკოსებმა საქართველო, – ოღონდ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოსაგან“. მაგრამ, ასევე ვერ „გადაარჩინეს“ – სამეგრელოსაგან.

იქნებ, ამიტომაც გადაწყვიტეს, თავიანთ მხრივ, თანამედროვე კვაზიენათმეცნიერებმა, – აქტიური დახმარება გაეწიათ მათსავით ცრუპატრიოტი ისტორიკოსებისათვის? ვნახოთ, რას მიაღწევენ, ერთობლივი ძალისხმევით! **(დმერთმა გვაშოროს!).**

გავაგრძელოთ კითხვები.

რატომ დასჭირდა აკადემიკოს **ნიკო მარს,** ეთქვა შემდეგი:

„მეგრული ტექსტების აღნუსხვა ძალიან ხელს მისცემდა ქართულ–ეროვნული აზრის განვითარებას. იგი ქართველებს ენის ცნობისმოყვარეობის საკვებავს მიაწვდენდა, ხოლო მეგრელებს მათ სამშობლო ისტორიულ კალაპოტს არა თუ ქვა-როხით გადაუღობავდა და წინმსვლელობით მიმდინარეობას შეაჩერებდა ან გადაუგდებდა უნაყოფოდ ტბისაკენ, პირიქით, სიფართოვეს და სიღრმეს დასძენდა“.

ვინ და რატომ შესწამეს, კინაღამ, მტრობა აკად. **ალექსანდრე ცაგარელს** ნაშრომისათვის: **„მეგრული ეტიუდები“** (ს.-პ., 1880);

რატომ იყო, აქამდე, თითქმის უჯრის საიდუმლოებად ქცეული, პროფ. **იოსებ ყიფშიძის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონითურთ“** და რა გახდა მიზეზი ი. ყიფშიძის უდროო გარდაცვალებისა?

რა გახდა უდროო გარდაცვალების მიზეზი **ნოდარ ხვედელიძისა,** რომელმაც გაშიფრა ესპანელი მეცნიერის მიერ მადრიდიდან გამოგზავნილი **„იბერიის ტაბულა“?**

რა გახდა მიზეზი გეოლოგ **ამირიდონ (მაჯი) ყურაშვილის** ნაადრევი გარდაცვალებისა და რატომ დაიკარგა თბილისში, სათანადო პასუხის გაცემის გარეშე, მის მიერ ნოქალაქევის გათხრებისას აღმოჩენილი და გამოსაკვლევად ჩაბარებული კოლხური სიძველის უძვირფასესი განძი? (იხ. ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია, სამეგრელოო ჩემო, I, 2000 წ., გვ. 234).

რა მიზანს ემსახურებოდა, თავის დროზე, **არნოლდ ჩიქობავას** დაპატიმრება სამი თვით, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ზუგდიდის პარტიული კომიტეტის იმჟამინდელ მდივან **ისაკ ჟვანიასთან** ერთად, ერთხელ, ესწრებოდა სოფელ გრიგოლიშის დაწყებითი სკოლის ქართული ენის გაკვეთილს, სადაც მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ ქართულის **„თითი“** მეგრულად არის **„კითი“**?

ამგვარ კითხვებს ერთი გაზეთიც რას დაიტევს. გავაერთიანებთ მათ და, ნიკო მარისეული შეფასების მიხედვით, დავსვამთ ერთადერთ კითხვას:

რატომ ცდილობენ ხოლმე, მავანნი და მავანნი, „მეგრელებს მათი სამშობლო ისტორიული კალაპოტი ქვა-როხით გადაუღობონ და წინმსვლელობითი ვითარება შეუჩერონ, ან გადაუგდონ უნაყოფოდ ტბისაკენ“?

რატომ არ სურთ აღიარონ: **ჰეროდოტეს** (V ს. ძვ. წ.) ცნობა, რომ **„კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონდათ“**? **აპოლონიოს როდოსელის** (IV ს. ძვ. წ.), რომ **„კოლხებს შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომელზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ქვეყნის ყველა გზა და საზღვარი“?**

რატომ არ სურთ აღიარონ ე. წ. **„ოფიციოზის“** წარმომადგენელ ქართველ მეცნიერებს (ვისაც ეს ეხებათ) კოლხურობა **„ფესტოსის დისკოს“** ოქროდამწერლობისა, რაც ამას წინათ ამოშიფრულ იქნა **გია კვაშილავას** მიერ, მაშინ როდესაც მას აღიარებენ სათანადო დარგის მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტები, მეცნიერები, მათ შორის ისინიც, ვინც მის ამოშიფვრაზე ათეულობით წლების განმავლობაში მუშაობდნენ? **იქნებ, მართლაც არ სჯერათ და არ სურთ არარსებულის აღიარება, ანუ, ანგელოზივით უმწიკვლონი ბრძანდებიან?** მეტი არაა ჩვენი მტერი!

დავუშვათ და, ვერა გაუგეს რა 4000-წლოვან პიქტოგრაფიულ ნაწერს (აკი ამიტომაც, მთელი საუკუნის მანძილზე თავს იტეხდნენ მის ამოშიფვრაზე მსოფლიოს მეცნიერები), მაგრამ იგივე სიძნელეს ხომ არ ხედავენ თანამედროვე ნაწერებში, – კერძოდ, ჩვენს (მამა და შვილი თანაავტორების, **მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიას**) საენათმეცნიერო ნაშრომებში, – ასევე ე. წ. **„ოფიციოზის“** წარმომადგენელი დარგის ქართველი ენათმეცნიერები, რომლებიც დღემდე სდუმან მათ შესახებ?

მაგრამ, თუ ასეა, სხვებმა როგორ გაუგეს მათ?, ანუ, რამ განაპირობა შემდეგი რეალობანი:

1) 200-მდე რეცენზია-შეფასება გვაქვს მიღებული, მამა და შვილ თანაავტორებს ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომებისათვის, რაც ერთად გამოცემისას ერთ დიდ წიგნს შეადგენს;

2) უცხოეთის 16 ქვეყნიდან მიღებული გვაქვს, უკვე, გამოხმაურება და თხოვნაც, რომ ეს ნაშრომები ითარგმნოს უცხოურ ენებზე; 6 ქვეყნიდან გვსტუმრობდნენ შინ, დაინტერესებული ადამიანები; 4 ქვეყნიდან გვქონდა ან გვაქვს მიწვევა (ეს მაშინ, როდესაც ჩვენი არც ერთი ნაშრომი არც ერთ უცხო ენაზე ჯერაც თარგმნილი არ არის და ქართულ ენაზედაც ინტერნეტში არ არის განთავსებული).

3) **„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“, „ტიტანური ნაშრომი“, „ზეტიტანური ნაშრომი“,„უებრო ნაშრომი“, „ფანტასტიკურიც და საკვირველიც“,„დიდი ქართული საქმე“,„წმინდა ქართული საქმე“, „წიგნი გიგანტი“,„სამაგიდო წიგნი“,„წიგნი, რომელზედაც დისერტაციები დაიწერება, რომელზედაც თაობები აღიზრდებიან“,„ყველაზე დიდმნიშვნელოვანი წიგნი, რაც კი რამ დაწერილა ენათმეცნიერებაში“...** – აი, ასეთი შეფასებები გაისმოდა გამომსვლელთა სიტყვებში ჩვენი შვიდტომეულის **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** პრეზენტაციაზე, რომელიც 2008 წლის 29 მაისს ქალაქ თბილისში ერთობლივად ჩატარებულ იქნა საქართველოს **“ფაზისის”** მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეროვნული აკადემიის, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის, აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემიისა და გამომცემლობ **„ინოვაციის“** მიერ, 300-მდე აკადემიკოსის მონაწილეობით, და სადაც სიტყვით 35-ზე მეტი კაცი გამოვიდა.

მამანტი ძაძამია,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 7 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რა ბედი ეწევა ანაკლიასა და განმუხურს?

წინა ხელისუფლების მიერ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დასახელებული ანაკლია, რომლის ტურისტული განვითარებისთვისაც როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე კონკრეტული ბიზნესმენების ჯიბეებიდან კოლოსალური თანხები იყო ჩადებული, არჩევნების შემდეგ განვითარებას ინერციით განაგრძობს. ადგილობრივების ინფორმაციით, ტურისტულ ზონად გამოცხადებულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. კერძოდ, არჩევნებიდან რამდენიმე დღეს თუ არ ჩავთვლით, წყლისა და გაზის, ასევე საკანალიზაციო სამუშაოები გრძელდება, რომელიც, ასევე ადგილობრივთა თქმით, არჩევნებამდე ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით არის დაფინანსებული. აქტიურად მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები. თუმცა, არავინ იცის, რა ბედი ეწევა მცირე დროით ქალაქის სტატუსმინიჭებულ ანაკლიაში აგებულ მაღალი დონის სასტუმროებს, აკვაპარკს, კაფე-ბარებსა და რესტორნებს... ამ დროისთვის დაკეტილია ყველა დიდი სასტუმრო, რომელიც კლიენტებს შარშან ამ დროსაც იღებდა.

იგივე მდგომარეობაა განმუხურშიც, სადაც ასევე ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს.

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ, 56 წლის, ანაკლიის მკვიდრი:

– წინა ხელისუფლების პოლიტიკას სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ არც "ოცნებას" ვუკრავდი ტაშს... არჩევნებიდან რამდენიმე დღეში, როდესაც ვიგრძენი, რომ აქაურობას საფრთხე ემუქრებოდა, შემეშინდა. აქ, როგორც დანარჩენ საქართველოში, მოსახლეობის აზრი ორად იყო გაყოფილი. იმათ, ვინც "ნაციონალებს" არ ემხრობოდნენ, ანაკლიაში ტურიზმის განვითარების არასდროს სჯეროდათ და არჩევნების შემდეგ დრო იხელთეს და ამ ტერიტორიაზე ნახირი შერეკეს. ძალიან ბოღმა უნდა იყო, რომ ვიღაცის ჯინაზე საკუთარი ქვეყნის წინსვლა არ გინდოდეს... თავის მხრივ, "ოცნების" ხალხიც აქტიურობდა სასტუმროების კედლებზე დიდი ასოებით მიაწერეს "ნაციონალების საბავშვო ბაღი". პოლიტიკურ ფონზე ადგილობრივებს შორის მცირედი დაპირისპირებები დაიწყო და მივხვდით, რომ ეს საერთო საქმეს დააზარალებდა. ანაკლიაში ყოველდღიურად წვრილმანი, მაგრამ შესამჩნევი რაღაცები ფუჭდებოდა. ეს ყველაფერი კიდევ რამდენიმე დღეს რომ გაგრძელებულიყო, განუკითხაობა დაიწყებოდა.

– ტერიტორიას დაცვის სამსახური არ ჰყავდა?

– კი, მაგრამ სადღაც გაუჩინარდნენ. იმ დღეებში ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული და ეტყობა, დაცვის ბიჭებმაც თავი აარიდეს. წინა დღეს აქაურობა გუგუნებდა, რამდენიმე ტრაქტორი და სატვირთო ავტომანქანა ერთდროულად მუშაობდა, არჩევნების მეორე დღეს კი, ეს ყველაფერი ერთბაშად გაჩერდა. ასე მეგონა, სხვაგან გადამასახლეს... ახლა, საბედნიეროდ, ვითარება ჩაწყნარდა და ის სამშენებლო სამუშაოებიც, რაც მაშინ იყო წამოწყებული, გრძელდება. მიმდინარეობს გზის მოხრეშვა, ორმხრივ გზას აკეთებენ. თუმცა დაკეტილია დიდი სასტუმროები, მხოლოდ მცირე სასტუმროებს ჰყავთ კლიენტები, ამ დღეებში ფოტოაპატარიანი ტურისტებიც შევნიშნე... მართალი გითხრათ, ბოლომდე არასდროს მჯეროდა, რომ ანაკლია სრულფასოვანი ქალაქი გახდებოდა, მაგრამ ის რაც აშენდა და გაკეთდა, არ მინდა განადგურდეს.

ᲜᲐᲜᲘ, 38 წლის:

– მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქეთ, როდესაც ამ ტერიტორიაზე პოლიცია დაბრუნდა... ჯერჯერობით უკეთესობისკენ არაფერი იცვლება. ეს მთავრობა ხალხს ქვეყნის სათავეში მოსვლამდე ლამის სამოთხეში ცხოვრებას ჰპირდებოდა, კინაღამ შემჭამეს მეზობლებმა ჩემი პოლიტიკური არჩევანის გამო, მაგრამ ჯერჯერობით უკეთესობას ვერაფერს ვხედავთ. პირიქით, უარესობისკენ მიდის ყველაფერი. ტურისტული განვითარების პერსპექტივა, რომელიც ანაკლიას წინა ხელისუფლების პირობებში ელოდებოდა, წარსულს ჩაბარდა. იგივე ელოდება განმუხურსაც, სადაც ბოლო წლებში ასევე ძალიან ბევრი რამ გაკეთდა.

ᲚᲔᲕᲐᲜᲘ, 61 წლის, განმუხურის მკვიდრი:

– წყლისა და გაზის შეყვანა გრძელდება, როგორც ანაკლიაში, ასევე ჩვენთან. მეც ვარ დასაქმებული, ხელფასს ვიღებ და ნამდვილად არ მინდა, ამ ზამთარს უმუშევარი დავრჩე. პარალელურად მიმდინარეობს საკანალიზაციო სამუშაოები, მაგრამ როგორც ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ამბობენ, ეს ყველაფერი ინერციით კეთდება, რადგან ახალი ხელისუფლება არც ანაკლიისა და არც განმუხურის შემდგომი განვითარებისთვის თანხის გამოყოფას არ აპირებს.

ᲯᲣᲛᲑᲔᲠᲘ, 42 წლის, ანაკლიის მკვიდრი:

– არ ვიცით, რა ბედი ეწიათ იმ ადამიანებს, ვინც წინა ხელისუფლების დროს მიწის ნაკვეთები დაკარგეს. სააკაშვილის მთავრობა მათ კომპენსაციას ჰპირდებოდა, კონკრეტულად, ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთზე 40 ათას დოლარსა და იმ სასტუმროს ერთი ნომრის გაქირავებიდან შემოსულ თანხას, რომელიც მათ კუთვნილ მიწაზე აშენდა, მაგრამ შეპირებულით ერთი ოჯახიც არ დაუკმაყოფილებიათ. ამიტომაც ისინი სასამართლო ძალით მიზერული თანხის მიღებას ითხოვდნენ...

ᲨᲝᲗᲐ ᲛᲣᲠᲓᲣᲚᲘᲐ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე:

– ანაკლიასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია ასეთია, – წინა ხელისუფლებას არ ჰქონდა არავითარი გეგმა და სტრატეგია თუ როგორ უნდა განვითარებულიყო ეს ადგილი და როგორ უნდა ქცეულიყო მსოფლიოში ერთ-ერთ წარმატებულ ტურისტულ ზონად. ისინი ყველაფერს სპონტანურად აკეთებდნენ და შესაბამისად, ვერ ვნახეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც იქ დაწყებული მშენებლობების გაგრძელებას შევძლებდით. ჩვენც სპონტანურად ხომ არ ვიმოქმედებთ?.. ასე რომ, ამჟამად იქ ვახორციელებთ ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რათა ზღვა ნაპირზე არ გადმოვიდეს, მიწები არ დატბოროს და მოსახლეობა არ დააზარალოს. ეს პროექტი აზიის განვითარების ბანკის მიერ არის დაფინანსებული. რაც შეეხება ანაკლიაში პორტის აშენებას, ეს პროექტი სახელმწიფომ უნდა განახორციელოს და ჯერჯერობით აღნიშნული საკითხის შესწავლა და განხილვა მიმდინარეობს.

– ბატონო შოთა, რაც შეეხება ანაკლიასა და განმუხურში აშენებულ სასტუმროებს, განვითარებულ ინფრასტრუქტურას, რომელშიც ძალიან დიდი თანხაა დახარჯული...

– ეს ყველაფერი, როგორც წინა ხელისუფლება გვეუბნებოდა, კომერციული პროექტები იყო, თუ ის ბიზნესმენები იქ ინვესტიციის ჩადებას განაგრძობენ, კი ბატონო, მათ ხელს არავინ შეუშლის. რაც შეეხება ლაზიკაში აშენებულ იუსტიციის სახლს, ეს ჩვენი სამინისტროს პრეროგატივა არ არის.

რა თანხები იხარჯებოდა კანცელარიის ჩინოვნიკების შესანახად

არცთუ დიდი ხნის წინ ლაშა ბუღაძის წერილი "რა ხდებოდა პრეზიდენტის რეზიდენციაში" წავიკითხე, სადაც ავტორი ხელისუფლების ერთი შტოს მიერ ძალაუფლების დაკარგვას აშარჟებდა: "რეზიდენციაში ყინავდა! რადიატორები უმდაბლეს ნიშნულამდე დაეწიათ, ხოლო სასადილოში ჭეშმარიტად ეგზისტენციალური 90-იანი წლები დაგვიხვდა: მხოლოდ წყალი, წიწიბურა, ლობიო და ურძეო და უკარაქო ნამცხვარი "სიგუა"! გაყინულმა ირმა ნადირაშვილმა, რომელსაც გადაჭრილი შალის ხელთათმანები ჩამოეცვა ხელებზე, წიწიბურას მარილივით მოაყარა დაფხშვნილი ვიტამინი c და მკაცრად შეუძახა პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელს: "გაიზომოს სიცხე, ნერვებს ნუ მიშლის!". ყველაზე დიდი შოკი საპირფარეშოში მელოდა. ფეხსალაგის ოდესღაც მბზინავ სარკეზე წითელი პომადით მიეწერა ვიღაცას: "აქ იყო დელისის მანიაკი!" წერს ავტორი.

გაშარჟება იქით იყოს, მაგრამ შარშან პრეზიდენტის რეზიდენციაში ცხოვრება დუღდა და გადადუღდა! თავად სააკაშვილი კი (როგორც ჩანს) კარიერის გაგრძელებას პრემიერ-მინისტრის ამპლუაში გეგმავდა და ბრწყინვალე მომავალზე ოცნებობდა, ალბათ, ამიტომაც დაიწყეს პომპეზური რეზიდენციის აშენება აშშ-ის ყოფილი საელჩოს ტერიტორიაზე (ალექსანდრეს ბაღის უკან), რომელიც, როგორც ამბობენ, პრემიერ-მინისტრის "წავსაყუდელი" უნდა გამხდარიყო. პირველი ოქტომბრის კრახის შემდეგ გიგი უგულავამ სასწრაფო წესით აფრინა წერილი ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მყოფ ვანო მერაბიშვილთან: "გთხოვთ, გადმოგვცეთ 10-12 ავტომანქანა". თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულეს. ასეთივე ხერხით გადაეცა კანცელარიის და შსს-ს კუთვნილი ავტომობილები პრეზიდენტის ადმინისტრაციას. ახალმა მთავრობამ ამ ავტომობილების უკან დაბრუნება განიზრახა – კანცელარიის ბალანსზე აღრიცხული ავტომობილების სხვა უწყებებისთვის გადაცემის საჭიროება სათანადოდ დასაბუთებული არ იყოო, მაგრამ როგორც ჩანს, არც მერია და არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ქონების დათმობას არ აპირებს. რაც შეეხება იმას, თუ რა თანხები იხარჯებოდა მშენებარე რეზიდენციისთვის, დღემდე გასაიდუმლოებულია. თუმცა, შევიტყვეთ, რომ 2012 წელს კანცელარიის ბიუჯეტიდან მშენებლობისათვის 16 მილიონი ყოფილა დახარჯული. ისიც შევიტყვეთ, რომ კანცელარიის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები რატომღაც ბიზნესომბუდსმენის აპარატის შენახვისთვისაც იხარჯებოდა.

<u>*ᲛᲐᲘᲐ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი:*</u>

"კანცელარიის თანამშრომელთა უმრავლესობას ემსახურებოდა მანქანები, თითოეულ მანქანაზე თვეში საშუალოდ ტონა საწვავი გაიცემოდა. მეტიც, ერთ-ერთ თანამშრომელზე, რომელიც სატრანსპორტო მომსახურების საკითხებს აგვარებდა, თვეში 12 ტონა საწვავია გაცემული. დიდი თანხები იხარჯებოდა კანცელარიის თანამშრომელთა სატელეფონო მომსახურებაზეც (ყოველთვიურად თითოეულზე – 1.000, ზოგიერთზე კი 1.500 ლარიც). გაირკვა ისიც, რომ არჩევნების წინ (ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრობის ხანმოკლე პერიოდში) 11 ძვირად ღირებული ავტომობილი შეიძინეს (ზოგიერთ მათგანში 70-80 ათასი ლარიც არის გადახდილი).

ჩვენ ხარჯები შევამცირეთ და მხოლოდ 100-200 ლიტრს გამოვყოფთ. სატელეფონო ყოველთვიური ხარჯიც 100-დან 50 ლარამდე შემცირდა. 2012 წელს, კანცელარიის დაფინანსება 30 მილიონს აღემატებოდა. აქედან 16 მილიონი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის მშენებლობაზე დაიხარჯა, მილიონი – ბიზნესომბუდსმენის აპარატის შენახვაზე. ე.ი. უშუალოდ კანცელარიისთვის 13 მილიონამდე დაიხარჯა. მომავალ წელს კანცელარიის დაფინანსება, სავარაუდოდ, 9 მილიონ 900 ათასამდე შემცირდება.

– "ნაციონალებმა" თქვეს, ახალმა პრემიერ-მინისტრმა 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილება შეიტანა და ერთ თვეში სახელმწიფო კანცელარიის დაფინანსება 2 მილიონ 500 ათასი ლარით გაზარდაო.

– დოკუმენტებით ირკვევა, რომ ეს თანხა (2 მილიონ 500 ათასი ლარი) კანცელარიას არა ივანიშვილის, არამედ მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს აქვს დახარჯული, ახლა კი გაწეული ხარჯის დაზუსტება და ასახვა მოხდა კანცელარიის საბიუჯეტო ასიგნებებში.

P.S. ჟან ჟაკ რუსოს უთქვამს, ძალაუფლება უძლიერესი აღმგზნები საშუალებააო. უდავოა, თუმცა, მისი მოპოვების სურვილიც არანაკლებ ძლიერია, განსაკუთრებით მისთვის, ვინც ამ აღმგზნებ საშუალებას გემო ერთხელ უკვე გაუსინჯა და მერე ძალაუფლება დაკარგა.

"ავტომატების საქმეს" გრიფი "საიდუმლო" მოეხსნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ბაჩანა ახალაიას მინისტრობის პერიოდში **12** მლნ-მდე ევროს ღირებულების მეორადი და კუსტარულად შეკეთებული „აკ-**47**" და „აკს-**47**" ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის არსენალი შეიძინა. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ვაკო ავალიანმა განაცხადა გუშინ, **6** დეკემბერს, სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე. მისივე თქმით, ე.წ. ავტომატების საქმეს გრიფი „საიდუმლო" მოეხსნა. ავალიანის განმარტებით, ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს სამინისტრო არამიზნობრივ ხარჯვას ახორციელებდა და მილიონობით ლარს რიცხავდა ოფშორულ ზონებში, შედეგად კი საქართველო მოძველებულ ტექნიკას იძენდა.

„დოკუმენტების თანახმად, **1** ავტომატში გადახდილია **290** ევრო, რეალური საბაზრო ღირებულება კი **50** ევროს ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, რადგანაც სახეზეა აშკარა დანაშაულის ნიშნები, ეს საქმე საქართველოს პროკურატურას გადაეგზავნება", – განაცხადა ავალიანმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა ანდრო გოცირიძემაც, რომლის განმარტებითაც: „ცხადია, პირადად მინისტრი არ ახორციელებს ამ მოქმედებას. ჩვენ ვატარებდით სამსახურებრივ მოკვლევას, გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, რის შედეგადაც ვალდებული ვართ, ვაცნობოთ სამართალდამცველ ორგანოებს". გოცირიძის ვარაუდით, ადგილი ჰქონდა კორუფციულ გარიგებას.

ტენდერების გარეშე შესყიდული იარაღის საქმეზე განცხადება გააკეთა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამაც, რომელიც ირწმუნება, რომ ის, როგორც თავდაცვის მინისტრი, ყოველთვის მუშაობდა ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ძალიან წუხს, რომ საქართველოში გრიფით „საიდუმლოს" მიკუთვნებული საკითხების გასაჯაროება ჩვეულებრივ ამბად იქცა, „მაშინ, როდესაც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში მსგავსი ქმედება აღქმული იქნებოდა სახელმწიფოს ღალატად".

„თავდაცვის სამინისტრო საქმიანობდა გამჭვირვალობის პრინციპზე დაყრდნობით და ინფორმაციის უმრავლესობა იყო ღია, თუმცა რიგი საკითხებისა, ბუნებრივია, საიდუმლოა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს საჯარო, მაშინ, როდესაც ქვეყნის **20%** არის ოკუპირებული და ქართულ სახელმწიფოებრიობას უქმნის საფრთხეს. ასევე, მინდა, აღვნიშნო, მე არ გავურბივარ პასუხისმგებლობას არცერთ ჩემს ქმედებასთან დაავშირებით, მაგრამ, მიუხედავად ჩემ წინააღმდეგ მოქმედი შავი პიარისა, სახელმწიფო საიდუმლოებას ვერ გავცვლი ჩემს პირად ინტერესებზე", – აღნიშნა ბაჩო ახალაიამ თავის განცხადებაში.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-202

სამართლიანად ამბობს ანზორ შონია: მართალია, სამეგრელო, ლაზიკა, აფხაზეთი, სვანეთი ვერ გახდა ქართულენოვანი რეგიონები (მეგრულ-სვანური მაინც დარჩა საურთიერთო ენად), მაგრამ სამეგრელოში ბევრი ქართველი გადავიდა, რამაც განაპირობა ის, რომ აზრი დაკარგა ქართულ-მეგრულ-სვანურ ეთნოჯგუფებზე საუბარმა, ვინაიდან ისინი დიდი ხანია შეერწყნენ ერთმანეთს, ჩამოაყალიბეს თანამედროვე ქართული ეთნოსი. ისიც ცხადია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული წვრილ-წვრილი ტომები, მათ შორის მესხები და ჯავახებიც კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ტერიტორიაზე მდებარეობდნენ.

აგრეთვე **„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში"** ნათქვამია: ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ თურქეთში და არიან ზოგიერთ სხვა პროვინციაშიც (გილანი, მაზანდარანი, ფერეიდანი...), ქართველების მცირე ნაწილი (ინგილოები, აჭარლები), ე. ი. ქართველმა მეცნიერმა აღწერა საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველები, მაგრამ არ გახსენებია თურქეთში ლაზისტანად (ლაზისხედ) წოდებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ლაზები, მათ შორის მუსულმანები, მით უმეტეს აჭარელები, რომლებიც ძირითადად ლაზების შთამომავლები არიან; რა დაუშავებიათ თურქეთში მცხოვრებ ჭანლაზებს, რომლებიც ჩვენი უყაირათობით მრავალი საუკუნის წინ მიიტაცეს თურქებმა (ჩვენ მიერვე ლაზ-ჭანების გახლეჩვის შედეგად), ძალით წაართვეს რელიგია-რწმენა, ძირითადად ენაც და თურქები ეჭვქვეშ აყენებენ მათ ქართულ წარმომავლობას.

ადრეც და VI საუკუნის შემდეგაც, ეგრისის სამეფოს სათავეში ლაზური დინასტია იდგა. ბიზანტიელები მთელ დასავლეთ საქართველოს სამეფოს ლაზთა სამეფოს უწოდებდნენ, ხოლო VIII-X საუკუნეებში ეგრისის სამეფოს, აფხაზთა სამეფო – უფრო ზუსტად ეგრის-აფხაზეთის სამეფოს უწოდებდნენ; მროველის პერიოდშიც, არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოსაც აფხაზეთად მოიხსენიებენ. მროველი ეგრისის სამეფოს ძირითად მოსახლეობად მეგრელებს თვლიდა.

ეგრისში მარგვეთის საერისთაოს შექმნას და მის სახელწოდებას უკავშირებენ მეგრელების (მეგრული) დასახელებას – სახელწოდებას: მარგველები მეგრელები იყვნენ, რომელთა (მარგვეთის) ერისთავები VIII-X საუკუნეებში იყვნენ ლაზი დიდებულები, სახელოვანი ბაღვაშები. უფრო გვიან XIV-XV საუკუნეებიდან (მარგვეთის (არგვეთის) საერისთაო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში გადავიდა, ქართულენოვანი რეგიონი გახდა.

გავლენიანი ლაზი ბაღვაშები (ხელისუფლების ერთი შტო რატომღაც ბაღვაშეს ებრძოდა) IX-XII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში ფლობდნენ თრიალეთს, სკვირეთს, ორბეთს, ატენს, კლდეკარის საერისთავოს. ა. შონია და ზოგიერთი სხვა მკვლევარი მიუთითებენ, რომ სამეგრელოს მთავრების დადიანების პირვანდელი გვარი იყო ბაღვაში, ხოლო XII საუკუნიდან აფხაზეთის მთავრები უცვლელად იყვნენ ლაზური გვარის დიდებულები – შარაშიები – იგივე შერვაშიძეები. VIII-X საუკუნეებში აფხაზეთელი ერისთავები ლაზები იყვნენ. ლაზი დიდებული იყო ცნობილი მოღვაწე იოანე მარუშისძე.

რატომღაც, ზოგიერთ მეცნიერს არ სურს ილაპარაკოს და წეროს, რომ ლაზები მეგრელები არიან. როგორც სხვაგანაც ვწერდით **„ფარს თუღლაჯის"** ენციკლოპედიურ ლექსიკონში (თურქები) წერენ: **„ლაზური ენა ახლოა ქართულთან და წარმოადგენს მეგრული ენის კილოს"**. ე.ი. ეს თურქებმაც კარგად იციან. მეგრულ ენას აქვს თავისი კილოკავები, როგორიცაა ზუგდიდური, სენაკური, მარტვილური, სამურზაყანული.

აფხაზების მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო ზუსტად ძირითადად მეგრული ენის სამურზაყანოული კილო, რადგან უძველესი აფხაზები ქართველები (მეგრელები) არიან. ამის დასტურია ის, რომ ტერიტორია, ენა, სარწმუნოება, ისტორია, ისტორიული ძეგლები, ტოპონიმები, ანთროპოლოგია, კულტურა, ტრადიციები, ზნე-ჩვეულება – რაც აფხაზების ვინაობას და რაობას გვიჩვენებს მთლიანად ქართულია: იმ პერიოდში, როდესაც ეგრისის სამეფოს სათავეში აფხაზური დინასტია იდგა, როგორც აღინიშნა, ეგრისის სამეფოს აფხაზთა –ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ხოლო ეგრისის ამ ტერიტორიის მთელ მოსახლეობას აფხაზები ერქვა.

აკად. ნიკო ბერძენიშვილი ამბობს: **„აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლელი და ქართლი."**

როგორც აღინიშნა, IX საუკუნის ბიზანტიური ენციკლოპედია ალბანელების შესახებ წერს: **„ალბანელები მეგრელები არიან"**, სწორედ იმ პერიოდში ბიზანტიელები ეგრისს ლაზიკას უწოდებდნენ, მეგრელებს კი ლაზებს. ასევეა ჰერეთიც. ეს ისტორიული ფაქტია, რომლის შესახებ წერენ იოსებ ყიფშიძე და სხვა ცნობილი ქართველი მეცნიერები, რომლებიც სხვა წყაროებთან ერთად მიუთითებენ კოლხურ (მეგრულ) ტოპონიმებზეც."

აფხაზ ცრუ მეცნიერებს, აფხაზეთის ყალბი ისტორიის შესაქმნელად „მასალები" ქართველმა მეცნიერებმა მისცეს. ჯერ ერთი: წამოყენებული იყო ყოველნაირად გაუგებარი უსაფუძვლო და საეჭვო „დებულება", რომ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სამხრეთ ნაწილში, თანამედროვე გურიაში, ქართველ ტომებამდე შეეძლოთ ეცხოვრათ ჩერქეზულ ტომებს. მართალია, ყოვლად უსაფუძვლო და გამოგონილი „დებულება" ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსებმა უარყვეს, მაგრამ აფხაზი ყალბისმქმნელი მეცნიერები მას კარგად იყენებენ; მეორე, ფრიად სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი მეცნიერი იმასაც ვარაუდობს, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ორაბორიგენობას. ამის პასუხად აფხაზი ცრუ მეცნიერები უარყოფენ ორაბორიგენობას და აფსუებს აბორიგენებად თვლიან. მსოფლიო ისტორიაში ორაბორიგენობა „არ არსებულა", როგორ გაჩნდა ის აფხაზეთში. 2007 წელს გამოვიდა ცნობილი მეცნიერის პროფესორ გივი როგავას წიგნი „აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის", რომლის ანოტაციაში ნათქვამია: „ნაშრომში სათანადო დოკუმენტებისა და ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ აფხაზები, როგორც გარკვეული ეთნიკური ერთეული, თანამედროვე აფხაზეთის (საქართველოს) ტერიტორიაზე, ქართველების მხარდამხარ ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან და ხასიათდებიან ეთნოსის ისეთი ნიშნებით, როგორიცაა ტერიტორია, ენის, კულტურის, ყოფითი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ერთიანობა. აფხაზების ერად ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა XX საუკუნეში, საკუთრივ აფხაზების, აფსუების და ქართველების ეთნოსუბსტრატის საფუძველზე." **(გივი როგავა,** აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 2007, ანოტაცია.)

ისეთმა მეცნიერმა, როგორიც პროფ. გივი როგავაა, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ეს დებულება არასწორია. მაგრამ გაუგებარია, ვის „უკმევს საკმეველს, ვის „ეფერება"? ამ უსწორო, ე. წ. დებულებას, ის წიგნის ანოტაციაში წერს და რა თქმა უნდა, ადვილი წარმოსადგენია, უსწორო დებულებები, თვალსაზრისი რამდენია ამ წიგნში, რომლის შესახებ, მეტს არაფერს ვამბობთ.

ეგრისში (აფხაზეთში) ადიღეური – ჩერქეზული ტომების რამენაირი ნაკვალევი არ ჩანს, მათი აფხაზეთში ჩამოსახლება მოხდა XVII-XVIII საუკუნეებში, როდესაც აფხაზეთი გამოეყო სამეგრელოს სამთავროს და დამოუკიდებელი სამთავრო გახდა. აგრეთვე, ჯიქებზე ამბობენ, რომ ვითომ უცხო ტომები არიან, მაგრამ იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, დღესაც მრავლად არის მეგრული ტოპონიმები და აგრეთვე, შემთხვევითი არ უნდა იყოს მეგრული გვარი ჯიქია. ცნობილია, რომ კავკასიური ომის დროს ჯიქები ფაქტიურად გადაშენდნენ.

არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომელშიც პირველად იყო მითითებული ეროვნული რეკვიზიტი. აფხაზეთელმა ქართველებმა (მეგრელებმა) თავიანთ ეროვნებად „მეგრელი" ჩაწერეს. რაც რუს კოლონიზატორებს არ აწყობდათ და ყველა ისინი და ადიღეურ-ჩერქეზული მცირერიცხოვანი მოსახლეობა აფხაზებად ჩაწერეს. შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, აქედან იწყება „აფხაზი ერის" ისტორია. მეგრელ-ქართველ მოსახლეობას არ გაკვირვებია „აფხაზად" ჩაწერა, რადგან აფხაზეთში მცხოვრები მეგრელი თავიანთ თავს „აფხაზებს" უწოდებდნენ. ქართველ საზოგადოებას, აფხაზეთელ ქართველებს ამისათვის წინააღმდეგობა რომ გაეწიათ, რუსი დამპყრობლები, ალბათ იძულებული იქნებოდნენ უკან დაეხიათ. ცარისტულ რუსეთს ასეთის გაკეთება უნდოდა სამეგრელოში და გურიაში, მაგრამ მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ამგვარად, ერთიანი საქართველოს შექმნამდე (XI ს.) კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს მკვიდრი მოსახლეობა მეგრელები იყვნენ, თუმცა მოსახლეობის ნაწილი იწოდებოდა მარგველებად. ნაწილი – ლაზებად, ნაწილი – აფხაზებად – იმის მიხედვით, თუ რა ერქვა იმ ტერიტორიებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

VIII-X საუკუნეებში, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში აფხაზური დინასტიის მმართველობის პერიოდში, ეგრისმა დიდ წარმატებებს მიაღწია – განთავისუფლდა ბიზანტიის მეურვეობისაგან, გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო მცირე აზიიდან ნიკოფსიამდე (ტუაფსე), აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე, ასევე სამთავროებთან ბრძოლაში შემოიერთა ქართლი – იბერია (თბილისის გამოკლებით), გავლენის ქვეშ მოაქცია კახეთ-ჰერეთი.

სამწუხაროდ, ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველო მძიმე მდგომარეობაში იყო – ირანმა ქართლში (იბერიაში) სამეფო გააუქმა (VI ს.), VII საუკუნეში ქართლი არაბებმა დაიპყრეს და არა თუ მეფობა, ერისმთავრობაც გააუქმეს. ქართლელები, ბუნებრივია, თავშესაფარს მოძმე ხალხში – ეგრისში ეძებდა.

ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხის ცნობიერება, ეროვნული თვითშეგნება კატეგორიულად თხოულობდა ერის გაერთიანებას. ეგრის-აფხაზეთში მზადდებოდა მტკიცე საფუძველი საქართველოს გაერთიანებლად და, XI საუკუნის დასაწყისში აღსრულდა ქართველი ხალხის ისტორიული ოცნება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო გაერთიანდა. ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების უმაღლესი გამოვლინება. ქვეყანამ მთელი ძალები წარმართა ერთიანი ქართველი ერის ჩამოსაყალიბებლად.

მოგვყავს ერთი ადგილი პროფესორ პაატა ცხადაიას ნაშრომიდან აფხაზეთ-სამურზაყანოს (გალის რაიონი) შესახებ:

როგორც ცნობილია, „საკუთრივ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა". პტოლემაიოსი (ქ.შ. IIს.) მათ „სუანო-კოლხებს" უწოდებს. ისტორიოგრაფიაში დასაბუთებულ მოსაზრებას, რომ აბაზგ-აფხაზ – დასავლურ-ქართველური წარმომავლობის სატომო სახელწოდებაა (რომელიც შემდგომ აფსუებზე გადავიდა), კიდევ უფრო განამტკიცებს უკანასკნელი პერიოდის ლინგვისტური ძიებანი: „ბერძნულში ფორმის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგს წარმოადგენს ბერძნული ფონეტიკური ნორმებისადმი შესაბამისად და არავითარ კავშირში არ არის ერთი შეხედვით მის მსგავს „აბაზა" სახელთან, რომელიც თანამედროვე აფხაზ-აბაზინელთა საერთო სახელწოდებას წარმოადგენს". როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, აფხაზები ქართველები იყვნენ არა მარტო კონფესიური, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისითაც. შუა საუკუნეებში საკუთრივ აფხაზებს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეჭირათ. XV ს-ის იტალიურ რუკებზე მდ. კელასურის შესართავთან აღნიშნულია „მეგრული პორტი", XVI ს. დამდეგის ერთ თურქულ საბუთში კი მითითებულია, რომ გურიელის ქვეყნის შემდეგ სოხუმამდე არის დადიანის ქვეყანა. XVII ს. შუა ხანებში მდ. კელასური ხდება საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის. „კლისურის ზღუდეს" საგანგებოდ ამაგრებს ლევან I, დადიანი. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომლიც 1633-1649 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობა ენგურის მარჯვენა ნაპირას მდებარე სოფ. წიფურიაში, სამეგრელოს „ყველაზე უკანასკნელ მდინარედ" ასახელებს კოდორს. მის მიერვე შედგენილ რუკაზე სამეგრელო მოთავსებულია რიონსა და კოდორს შორის. „სხვადასხვაენოვანი წერილობითი წყაროებიდან სავსებით ცხადია, რომ უძველესი დროიდან გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ცხუმის მოსახლეობა ქართული იყო".

XVII ს. II ნახევარში აფხაზმა ფეოდალებმა ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულთა დახმარებით დაიპყრეს ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილი, ჯერ მდ. ღალიძგამდე, ხოლო შემდეგ ენგურამდე (ამაზე თქვა მხატვრულად ბესიკმა: „მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუმცა შეესვათ გობითა"). ადგილობრივი მოსახლეობა ან ამოწყვიტეს, ან გაყიდეს, ან დაიმონეს. „ამ დროიდან ენგური ხდება აფხაზთა სამთავროს სამხრეთი საზღვარი". უფრო მეტიც, მურზაყან შარაშია და მისი მემკვიდრეები ენგურის მარცხენა ნაპირის რამდენიმე სოფელსაც ფლობდნენ. დაპყრობილი ტერიტორიის ეთნიკური ათვისების მიზნით აფხაზმა ფეოდალებმა აქ აფხაზთა („აზნაურთა და გლეხთა") დასახლება დაიწყეს. აბჟუაში დროთა განმავლობაში მოხდა მეგრელთა სრული გააფხაზება. სამურზაყანოში, თუმცა თანდათანობით ვრცელდებოდა აფხაზური ენა, ძირძველი მოსახლეობა უფრო მდგრადი აღმოჩნდა. „საერთოდ, სამურზაყანოს გააფხაზება მიმდინარეობდა ძალიან ნელა, ხოლო შემდეგ (უკვე XIXს.) სრულებით შეწყდა."

ისიც ცნობილია, რომ მამამ, დღევანდელი გალის რაიონი სამართავად მისცა შვილს, მურზაყანს, ამიტომ ამ ტერიტორიებს სამურზაყანოს უწოდებდნენ. მურზაყანს ჰქონდა ჩიყვი – ჩიყვის ავადმყოფობა. ამიტომ მას ადგილობრივი მოსახლეები „ყვაპუ შარაშიას" ეძახდნენ – მოსახლეობის უმრავლესობამ გვარი შარაშიას გარდა, სხვა, მეორე გვარი ე. წ. შერვაშიძე, არც კი იცოდა, მით უმეტეს, შარაშიები სამურზაყანოს რაიონის სოფელ საბერიოდან იყვნენ.

შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს გაერთიანების საქმეში ეგრის-აფხაზეთის წამყვანი როლი მეფის ტიტულატურაშიც ჩანს („მეფე აფხაზთა..."). არ ვიცი, მეფის ამ ტიტულატურასთან რა კავშირშია, მაგრამ თამარ მეფემ მცირე აზიაში (1204წ.) ლაზიკის ძირითად ტერიტორიაზე, ტრაპიზონის იმპერია შექმნა და სათავეში ქართველთა ნათესავი ბიზანტიელი კომნენები ჩააყენა. თამარ მეფის ეპოქაში მეფის მეჭურჭლეთუხუცესი იყო ვარდან დადიანი (ცოტნე დადიანის მამა), რომელსაც ეკუთვნოდა მთელი დასავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ საქართველოში (როგორც ითქვა, ბაღვაშ-დადიანების) ატენი, კლდეკარის საერისთაო, სკვირეთი, ორბეთი. იმასაც მიუთითებენ, რომ ოდიშისა და გურიის ერისთავები მისი შვილები ან ძმები იყვნენ. ოდიშის ერისთავი იწოდებოდა ბედიან-დადიანად, ხოლო გურიის ერისთავი – გურიელ დადიანად. XVI საუკუნის ბოლომდე სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში იყვნენ აფხაზეთის, გურიის, ოდიშის საერისთაოები, ლეჩხუმის და ლაზიკის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ მოქცეული არ იყო თურქეთის საზღვარებში, – აჭარა, მაგრამ XVI საუკუნის ბოლოდან გურია, XVII საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთი, სამეგრელოს სამთავროდან დამოუკიდებელი სამთავროები გახდნენ. „იმ ტერიტორიებიდან, რომელსაც დადიანები ფლობდნენ, ერთიანი საქართველოს ეპოქაში XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის, მათ მფლობელობაში დარჩა მისი დაახლოებით 1/4 ნაწილი, სათანადოდ სამეგრელოს თითქმის 3/4 ნაწილი ახლადწარმოშობილ რეგიონებში მოექცნენ და შემდგომ, სრულიად კანონზომიერად, იქაური მეგრელები იწოდებოდნენ იმერლებად, გურულებად. რაჭველებად, აჭარლებად. (**ანზორ შონია,** ეგრისის სამეფო..., გვ. 111.)"

დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის საქართველომ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ისტორიაში, იყო უბრწყინვალესი, ზეაღმავალი ქვეყანა, რომლის წინსვლა დიდი ხნით შეაჩერა XIII საუკუნის დამდეგს თათარ-მონღოლთა შემოსევამ, საქართველო ისევ დაიშალა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ ახალი წიგნის პრეზენტაცია გამართა

*2012 წლის 19 დეკემბერს, 13:00 საათზე, ძველი თბილისის ცენტრში – ხუთვარსკვლავიან ოტელ „ამბასადორის“ (**Ambassador Hotel in Tbilisi**) საკონფერენციო დარბაზში – არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ მის მიერ გამოცემული მორიგი წიგნის – „ლეკიანობა“ – პრეზენტაცია გამართა.*

პრეზენტაციას ესწრებოდნენ წიგნის სარედაქციო კოლეგიის წევრები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ექსპერტები. პრეზენტაციამ თბილ გარემოსა და საინტერესო საუბრებში ჩაიარა, მოწვეულმა სტუმრებმა თავისი აზრი გამოთქვეს ახალგამოცემული წიგნის თემატიკის შესახებ.

წიგნი **„ლეკიანობა“** წარმოადგენს ცნობილი ქართველი მეცნიერების – აკადემიკოსების, პროფესორების, მეცნიერებათა დოქტორების – სტატიების კრებულს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჟურნალ **„ისტორიულ მემკვიდრეობაში“**: ისტორიკოსები, ეკონომისტები, აგრეთვე, ცნობილი პუბლიცისტები, დოკუმენტური ისტორიული მასალის საფუძველზე იკვლევენ საქართველოს ისტორიის ამ საშინელ პერიოდს.

გამოცემაში თავმოყრილია შემდეგი სამეცნიერო პუბლიკაციები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის დ. მეგრელიძის **„ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან“, „ერეკლე მეორეს წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ“, „ერეკლე მეორეს წარდგინება რუსეთის იმპერატორ პავლე პირველისადმი“; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის თ. ბოცვაძის „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობების ისტორიიდან (XV – XVIII ს.ს.)“; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის ვ. ითონიშვილის „უცხოელთა ავაზაკობა საქართველოში“, „პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი“, „მრისხანე XVIII საუკუნე: ყიზილბაშობა და ლეკიანობა“, „ლეკიანობა კახეთში“, „კათოლიკე მისიონერები საქართველოში“, „რუსეთის ბრძოლა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში“, „შამილი და ლეკთა თავდასხმები“, „ჰაჯი მურატი და მ.ს. ვორონცოვი, რუსეთის პროტესტები პორტასადმი ლეკ-ოსმალთა ქართლზე თავდასხმის გამო“, „შეიხი მანსური და ოსმალთა კავკასიური ავანტიურა“; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის სერგო ხოსიტაშვილის „პირველი ქართულ-რუსული საბრძოლო ოპერაციები“; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა.ვ ხარაზევიჩის „დონის კაზაკთა ნაწილები ლეკთა თავდასხმებისაგან საქართველოს დასაცავად 1801-1804 წლებში“, „დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნეში“, „აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურიმდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარში“; ქართველი პოეტის, პროზაიკოსისა და პუბლიცისტის ალექსანდრე ორბელიანის წერილი „დაღისტანიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“,** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის პაატა გუგუშვილის **„ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში“** და მთარგმნელი პუბლიცისტის ბეჟან გიორგაძის წერილი **„სამი ქართველი ქალის ამბავი“** (ფრაგმენტი).

„ლეკიანობა“ – ქართულად ასე ჰქვია მთლიანობაში ჩრდილოკავკასიელი მთიელების (ლეკების, დაღესტნელების, ჩეჩნების, ინგუშების და სხვა.) თავდასხმებს საქართველოზე, ბევრად უფრო გამაპარტახებელს, ვიდრე ყიზილბაშთა მომთაბარე ტომების ლაშქრობები იყო.

საქართველოს მათზე ვერაგი და სასტიკი მტერი, ალბათ, არც ჰყოლია – მათმა თავდასხმებმა მე-18 საუკუნეში ათასობით სიცოცხლე შეიწირა, ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის რიცხოვნობა 200 ათასამდე შეამცირა და მთლიანად გაანადგურა აყვავებული მეურნეობა. ოსმალეთის იმპერიის მმართველებმა მაშინ შეგნებულად დაიწყეს მზადება საქართველოს განადგურებისთვის – ქართველების წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელთა კომბინირებულად ამოქმედებისთვის საჭირო იყო ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთისთვის რაიმე საფრთხის შექმნა, რათა საბედისწერო საათს მეფე ერეკლე მეორეს იქიდან დახმარების მიღება არ შესძლებოდა.

როგორც ცნობილია, ლეკები გატაცებულ ტყვეებს მეურნეობაში ვერ იყენებდნენ, ამიტომ ტყვეები მიჰყავდათ **„ამანათებად“** ე.ი. იმ მიზნით, რომ ისინი დაეხსნათ პატრონებს. ასეთი მიზნით იტაცებდნენ ტყვეებს იმ დრომდე, ვიდრე მათ ფართო გასაქანს მისცემდა ოსმალეთის ტყვეების ბაზარი... ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოვლენას (ჩრდილოკავკასიელების თარეშს, – რედ.) ვუწოდოთ **„ლეკიანობა“**, ანალოგიურად **„ჭირიანობისა“, “შიშიანობისა“, „ომიანობისა“ და სხვ.“**

არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** თავმჯდომარე **ტარიელ გაგნიძემ „საქინფორმთან“** საუბრისას აღნიშნა, რომ გამოცემაზე წელიწადზე მეტხანს მიმდინარეობდა მუშაობა და გამართული წიგნის პრეზენტაცია მიზნად ისახავდა მის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას.

ტარიელ გაგნიძე: „ჩვენმა ორგანიზაციამ მოამზადა წიგნი „ლეკიანობა“. ამ წიგნში საქართველოს ისტორიაში „შავ ლაქად“ ცნობილი მოვლენების ამსახველი ინფორმაციაა თავმოყრილი. ეს არის, ძირითადად, XVI-XVII-XVIII საუკენეების ამსახველი მასალები, როდესაც საქართველოში ჩრდილოეთკავკასიელი ტომები ლაშქრობდნენ, რამაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ ქართველი ერის ფიზიკური გადაშენების საფრთხე შეიქმნა. აღნიშნული ვითარებიდან საქართველომ თავის დაღწევა მხოლოდ მაშინ შეძლო, როდესაც რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში შემოვიდა, დაიმორჩილა ადგილობრივი ტომები და რეგიონში წესრიგი დაამყარა. მხოლოდ რუსეთთან კავშირის შედეგად გახდა შესაძლებელი ქართველი ერის გამაჩანაგებელი უბედურებისგან დაცვა“.

„ლეკიანობის“ და ჟურნალ **„ისტორიული მემკვიდრეობის“** პასუხისმგებელი რედაქტორი **დარეჯან ანდრიაძე**: ამ წიგნის გამოცემის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ **(„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)** ჩრდილოკავკასიელების მიმართ ერთგვარი მოფერების პოლიტიკა დაიწყო – რომ თითქოს ჩვენ ვართ ისტორიული მეგობრები და ყოველთვის ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა მათთან. ამით სააკაშვილის ხელისუფლებამ ხაზი გადაუსვა რეალურ, ჭეშმარიტ ისტორიას. სწორედ მაშინ გაჩნდა აუცილებლობა იმისა, რომ გამოცემულიყო წიგნი, სადაც ასახული იქნებოდა რეალური ფაქტები ყოველგვარი **„შელამაზების“** გარეშე. პირველ ეტაპზე ჟურნალ **„ისტორიულ მემკვიდრეობაში“** ჩვენ დავიწყეთ მასალების – სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტების – გამოქვეყნება. მოგვიანებით, როდესაც უამრავი მასალა დაგვიგროვდა, მისი წიგნად გამოცემა გადავწყვიტეთ. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო გამოვიდა. ჩვენი მიზანი არ ყოფილა ძველი მტრობის გახსენება, ერთადერთი სურვილი გვამოძრავებდა, რომ ჭეშმარიტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის და ვფიქრობ, ეს მოვახერხეთ.

პრეზენტაციის ერთ-ერთი სტუმრის, გაზეთ **„ᲝᲚᲝᲠᲘᲡ“** მთავარი რედაქტორის **ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐᲡ** განცხადებით, საქართველოში დაწყებულმა ლეკიანობამ განაპირობა იმ დროს ჩვენი ქვეყნის მიერ გაკეთებული არჩევანი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის საგარეო კურსი ჩრდილოეთზე იყო ორიენტირებული. ლეკიანობამ ქვეყანა ძალიან დაასუსტა. თუკი საქართველო ადვილად იგერიებდა სხვადასხვა დამპყრობლის ორგანიზებულ შემოტევებს, ლეკიანობა სწორედაც რომ ყაჩაღური თავდასხმა იყო, რომლისგანაც თავდაცვას სჭირდებოდა რეგულარული არმია. სამწუხაროდ, საქართველოს იმ პერიოდში ასეთი არმიის რჩენა არ შეეძლო. მხოლოდ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ გახდა შესაძლებელი საქართველოში შექმნილიყო დაქირავებული ჯარი – როქის სპა, რომელიც იბრძოლებდა ამ ყაჩაღური თავდასხმების წინააღმდეგ.

წიგნი **„ლეკიანობის“** გამოცემა სწორედაც რომ დროული იყო. თუკი ახალ თაობას არ ეცოდინება საქართველოს რეალური წარსული, ის ვერც ღირსეულ მომავალს შექმნის. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**, რომელიც 8 წლის განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლებაში იყო, რუსეთის წინააღმდეგ ე.წ. შავ პიარს აწარმოებდა – თითქოს რუსეთმა არაერთხელ დაიპყრო საქართველო და ა.შ. თუ კარგად გავიხსენებთ, მე-18 საუკუნეში სწორედ საქართველო ემუდარებოდა რუსეთს, რომ შემოსულიყო რეგიონში და დაეცვა ქართველი ერი ჩრდილოკავკასიელი ტომების ძალადობისგან. მომავალმა თაობამ ეს აუცილებლად უნდა იცოდეს. წიგნი **„ლეკიანობა“** ახალ თაობას განწყობას კი არ შეუქმნის, არამედ შეულამაზებლად მიაწვდის ინფორმაციას და ახალგაზრდებმა თავად უნდა გააანალიზონ საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი პერიოდის ფაქტები. რაც უფრო მეტად ჩახედულია ადამიანი საკითხში, მით უფრო ობიექტური იქნება იგი მომავლის დაგეგმვაში.

გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე **ვიქტორ ცაავას** მოსაზრებით, წიგნი აქტუალურია იმით, რომ ისტორიის ის პერიოდი, როდესაც საქართველოში ჩრდილოკავკასიელი ტომები თარეშობდნენ, არცთუ ისე გავრცობილად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ამ წიგნით მკითხველი დაინახავს, თუ რა ნეგატიურ როლს თამაშობდნენ ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეები საქართველოს ყოფაში. ამიტომ ლეკიანობაზე წიგნის გამოცემა ქართულ საზოგადოებას დაეხმარება, გაათვითცნობიეროს მომავალი საფრთხეების შესაძლებლობები.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** კოორდინატორი **ზაურ გახარია**: **„ხშირია ფაქტები, როდესაც ცდილობენ ისტორიის გადაწერას და ცვლილებების შეტანას. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ამ წიგნში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა უტყუარ ფაქტებს. როგორც თქვენ იცით, ეს არ არის ერთი ავტორის წიგნი. „ლეკიანობაში“ თავმოყრილია რამდენიმე მეცნიერის ნაშრომი. აწ უკვე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები („ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“** ვგულისხმობ) **და მათი მხარდამჭერები ხშირად უკმაყოფილებით ამბობდნენ, რომ თავის დროზე ერეკლე მეორემ დაუშვა შეცდომა, როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატს მოაწერა ხელი. ეს არის სრული სიბრიყვე. ლეკიანობამ გაანადგურა კახეთი და საკმაოდ სწრაფად იკიდებდა ფეხს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სწორედ ამ ფაქტმა გადააწყვეტინა ერეკლე მეორეს „ნაბიჯის გადადგმა“ ქრისტიანული რუსეთისაკენ. დღეს საქართველოს ისტორიიდან ამ ფაქტების ამოშლა სურთ. ამჟამად წიგნის მცირედი რაოდენობა გვაქვს და ვგეგმავთ კახეთის სკოლებში დარიგებას, მაგრამ კარგი იქნება, თუ ეს შესაძლებელი გახდება მთელი საქართველოს მასშტაბით. „ლეკიანობის“ გამოცემა აუცილებელი, აქტუალური და დროული იყო. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, თუ რა ზიანი მოუტანა ჩვენს ქვეყანას ჩრდილოკავკასიელ ტომთა შემოსევებმა“.** აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წიგნმა **„ლეკიანობამ“** ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა და გამოცემაში განთავსებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან მასალაზე აქტიური მსჯელობა პრეზენტაციის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა.

შეხვედრის დასასრულს მოწვეულ სტუმრებს დაურიგდათ ჟურნალ **„ისტორიული მემკვიდრეობის“** ამ ღონისძიებისათვის მომზადებული სპეციალური ნომერი.

მოამზადა ნატა ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲛᲐ
ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

სტალინი შ. ნუცუბიძის მიერ "ვეფხისტყაოსნის" რუსული თარგმანის პირველი რედაქტორი

"სტალინი განსაცვიფრებელი პიროვნებაა. იგი ერთი იმ უიშვიათესი ხელმძღვანელთაგანია რომლის მსგავსი აღარ ეყოლება მსოფლიოს უახლოეს 500 წლის განმავლობაში"

კორდელ ჰილი

აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი

მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის ევროპულ საზღვართან დენთის სუნი ტრიალებდა და ფაქტობრივად მეორე მსოფლიო ომის საშიშროება კარზე იყო მომდგარი იოსებ სტალინი დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეების განხილვასთან ერთად არ ივიწყებდა მშობლიური ქართველი ერის ლიტერატურისა და ხელოვნების გვირგვინის შოთა რუსთაველის **"ვეფხისტყაოსანს"**. 1937 წელს მისი უშუალო განკარგულებით ჩატარდა შ. რუსთაველის 750 წლისთავის იუბილე მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ: – საფრანგეთში და ინგლისში, სადაც **"ვეფხისტყაოსანს"** კარგად იცნობდნენ. 1934 წელს, მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე, დღის წესრიგში სამი მოხსენება იყო; – პირველ მოხსენებას აკეთებდა მაქსიმ გორკი რუსული ლიტერატურის შესახებ. მეორე მოხსენებას აკეთებდა ბუხარინი – რუსულ პოეზიაზე, ხოლო მესამე მოხსენებას აკეთებდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე – ქართულ ლიტერატურაზე. ყრილობა მიმდინარეობდა კრემლის სვეტებიან დარბაზში, რომლის სვეტებზეც ეკიდა რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პორტრეტები. ბატ. მალაქიას მოხსენების შემდეგ, მეორე დღეს, ერთერთი სვეტი დაამშვენა შოთა რუსთაველის პორტრეტმა. ეს იყო ქართველი ერის, ქართული ლიტერატურის და ხელოვნების უდიდესი აღიარება, რომელიც წილად ხვდა იმ პერიოდში საქართველოს და ქართველ ერს. შემდეგში რუსთაველის ბარელიეფი გაკეთდა მოსკოვის სახელმწიფო ბიბლიოთეკის შენობაზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი ადგილი ბარელიეფთა რიგში შოთა რუსთაველმა დაიკავა, მე-12 საუკუნის წარწერით. მეორე ადგილი რუსეთს ეკავა მე-16 საუკუნის წარწერით და ასე გრძელდებოდა რიგი საუკუნეების მიხედვით. საამაყოა ის, რომ პატარამ, მაგრამ დიდი კულტურის ქვეყანამ – საქართველომ მსოფლიოს მისცა დიდი ფილოსოფოსი და პოეტი შოთა რუსთაველი, მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსი იოსებ სტალინი, რომელიც საბჭოთა კავშირს და მსოფლიოს მართავდა 30 წელიწადი, რომელმაც სამხედრო ხელოვნება ზენიტში აიყვანა და მოიგო მსოფლიოში ყველაზე დიდი მეორე მსოფლიო ომი.

ხშირად მედროვე ქართველი პოლიტიკოსები სვამენ შეკითხვას – სტალინს უყვარდა თუ არა საქართველო? მე მათ ვუპასუხებ – უყვარდა და ზრუნავდა მასზე. სტალინის უშუალო სიყვარულით თარგმნა **"ვეფხისტყაოსნი"** რუსულ ენაზე ბატონმა შალვა ნუცუბიძემ. აქ ორი რამ მოხდა – ფართო საზოგადოებამ მიიღო **"ვეფხისტყაოსნის"** შესანიშნავი თარგმანი და სწორედ **"ვეფხისტყაოსანმა"** გადაგვირჩინა უდიდესი მეცნიერი-ფილოსოფოსი რომელიც დიდი შემოქმედებითი უნარით და ნიჭით დგას ევროპის უდიდესი მეცნიერების გვერდით. მაგრამ ჩვენ ქართველებს მოგვდგამს ერთი უარყოფითი ჩვევა, რაც ხშირად იჩენს ხოლმე თავს – როგორც დიდი კ. გამსახურდია იტყოდა თუ ვინმე წესიერი და ჭკვიანი გამოგვერია ისე დავკორტნით, რომ უკან არ მოვიხედვათ და საკუთარ თავს არ დავუსვამთ კითხვას: რას ჩადი? სწორედ ასეთი სიტუაცია შეუქმნეს ბატონ შალვა ნუცუბიძეს საქართველოში და იქამდის მივიდა საქმე, რომ ბატონ შალვა ეს უდიდესი ქართველი და მეცნიერი 1937 წლის ბოლოს დააპატიმრეს.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია სტალინს პანტელეიმონ პეტრენკოს რუსულ ენაზე თარგმნილი **"ვეფხისტყაოსანი"** სამაგიდო წიგნად ედო მაგიდაზე, მაგრამ არ მოსწონდა რადგან თარგმანი დედანთან დაშორებული იყო. პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე სტალინმა პოლიტბიუროს წევრებს ქართულად წაუკითხა **"ვეფხისტყაოსნის"** სტროფი ქაჯეთის ციხის აღების შესახებ. ბიუროს ერთ-ერთ წევრს (ზოგი ვოროშილოვს ასახელებს და ზოგი – კაგანოვიჩს) უთქვამს: მანდ რაღაც ბრძოლის ამბავი უნდა იყოსო. ამის გამო სტალინმა რუსულად თარგმნა ეს სტროფი და წაუკითხა პოლიტბიუროს წევრებს. სტალინის თარგმანი პოლიტბიუროს წევრებს ძალიან მოსწონებიათ. აქ კი სტალინს გაუჩნდა იდეა – მოეძებნათ პიროვნება, პოეტი რომელიც ფლობდა ქართულ და რუსულ სალიტერატურო ენას და ეთარგმნა **"ვეფხისტყაოსანი"** რუსულ ენაზე. მან დაურეკა საბჭოთა კავშირის წიგნის საგამომცემლო პალატის თავმჯდომარის მოადგილეს (ძველ მეგობარს) სერგო ქავთარაძეს და სთხოვა მოეძებნა პიროვნება რომელსაც ეცოდინება ქართული და რუსული სალიტერატურო ენები და შეეთავაზებინა **"ვეფხისტყაოსნის"** რუსულ ენაზე თარგმნა. ბატ. სერგო ქავთარაძემ უთხრა, რომ არის პიროვნება – ქართველი დიდი მეცნიერი ფილოსოფოსი და პოეტი შალვა ნუცუბიძე რომელმაც დაიწყო **"ვეფხისტყაოსნის"** თარგმნა მაგრამ ამჟამად დაპატიმრებულია და მოსკოვის ციხეში იმყოფებაო. სტალინმა იმ დღესვე დაურეკა ლავრენტი ბერიას და უთხრა: თუ გინდა მიიღო **"ვეფხისტყაოსნის"** კარგი რუსული თარგმანი, შალვა ნუცუბიძეს შეუქმენი მას ყველა პირობა, რათა პატიმრობაში თარგმნოს **"ვეფხისტყაოსანი"**-ო. ბატონ შალვას მოსალაპარაკებლად ესტუმრა გამომძიებელი. შალვა დათანხმდა **"ვეფხისტყაოსნის"** თარგმნაზე. ამის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად მთელი დასტა საწერი ქაღალდი, ქართული **"ვეფხისტყაოსანი"** და საგანგებოდ მომზადებული ულუფა მოუტანეს და უთხრეს; – განაგრძე **"ვეფხისტყაოსნის"** რუსულ ენაზე თარგმნაო...

მეორე დღეს გამომძიებელი მივიდა საკანში და მოუთხრო: სტალინს უკითხავს ბერიასათვის, შაშვი თუ იცი რა ფრინველიაო, და, საერთოდ, გალიაში მომღერალი შაშვისათვის თუ მოგისმენიაო?

– შაშვი გალიაში არ გალობსო, – მოუხსენებია ბერიას.

ჰო და, თუ მართლა გსურს მივიღოთ რუსთაველის პოემის სრულყოფილი რუსული თარგმანი, ნუცუბიძე უნდა გაუშვა გალიიდანო.

ასე დაიწყო ბატონმა შალვამ **"ვეფხისტყაოსნის"** თარგმნა. კვირაში ერთხელ შესრულებული თარგმანი მიჰქონდათ სტალინთან. ასე გაგრძელდა 1 წელიწადი, სტალინმა პირობა შეასრულა და შალვა ნუცუბიძე პატიმრობიდან განთავისუფლდა. შალვამ დედას წერილი გაუგზავნა:

"ჩემო დედა!

მე ისევ ცოცხალი ვარ და თავისუფალი, სიზმარი მგონია რაც მოხდა გუშინ. ე.ი. 1940 წლის 28 აპრილს გამანთავისუფლეს, ბევრი ტანჯვა გამოვიარე მაგრამ ყველაფერი გათავდა. ვიწყებ ცხოვრებას თავიდან. კარგად ვარ ჯანზე, კიდევ უკეთესად გუნებაზე. შენმა ღმერთმა და ლოცვამ არ გაგვწირა. საქმე გამოძიების პროცესში მოისპო. მე შენთვის ხელახლა დავიბადე. შენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო, აწ ნუღარაფრის გეშინია. შენი შალვა". ბატონი შალვა აღადგინეს თავის უფლებებში და ახალი ენერგიით დაიწყო თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა.

გავიდა რამდენიმე თვე და უშიშროების თანამშრომლები ისევ მიადგნენ ბატ. შალვას ბინაზე. მოსულებმა ახედ-დახედეს და ჰკითხეს, სხვა უკეთესი ტანსაცმელი თუ გააქვსო.

– მაქვსო, – უპასუხია ბატონი შალვას.

–აბა გადაიცვი და წამოდი!

რა თქმა უნდა ამ ამბავმა ბატონი შალვა საგონებელში ჩააგდო. ისევ მიჭერენ? – ეკითხებოდა საკუთარ თავს. მოსულებმა ჩასვეს მანქანაში და გაუარეს სერგო ქავთარაძეს, რომელმაც არაფერი არ იცოდა, როცა მანქანა კრემლთან მივიდა მაშინ ამოისუნთქეს ორთავემ თავისუფლად და დარწმუნდნენ საქმე კარგად იყო. ორივენი – ბატ. შალვა და ბატ. სერგო სტალინის თანაშემწესთან მიიყვანეს. პოსკრებიშევმა უთხრა: ამხანაგ სტალინს დელეგაცია ჰყავს, მალე გაუშვებს და მიგიღებთო.

ბატ. სერგო ქავთარაძე სტალინის ახლო მეგობარი იყო მაგრამ ბოლო დროს მასთან ხშირი შეხვედრები არ ჰქონდა. ბატონი შალვას ცხოვრებაში სტალინთან შეხვედრა დიდი მოვლენა იყო.

თანაშემწემ ბატ. შალვა და ბატ. სერგო სტალინს წარუდგინა. სტალინი ადგა, სტუმრებს შუა კაბინეტში შეეგება. პირველად ბატ. შალვას მიესალმა. ბელადმა რამდენიმე სიტყვა რუსულად თქვა და შემდეგ მასპინძელი და სტუმრები ქართულად საუბრობდნენ. სტალინის თავისუფალმა საუბარმა კიდევ უფრო თავისუფალი გახადა შეხვედრის ატმოსფერო. როგორც ყოველთვის ხდება, ყველგვარი დაძაბულობა მოიხსნა.

სტალინმა წარმოთქვა: **"თარგმანის ტექსტი ძალიან გაგიმართავს, ბრწყინვალეა"**, თქვა სტალინმა და ხელში აიღო ტყავის გარეკანში აკინძული **"ვეფხისტყაოსნის"** ნუცუბიძისეული თარგმანის სასიგნალო ეგზემპლარი. ბატონ შალვას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინ მიხვდა ვინ ასწორებდა მის თარგმანს და ვინ იყო მისი რედაქტორი. სასიგნალოდ გამოცემულ **"ვეფხისტყაოსანზე"** უამრავი შენიშვნები იყო გაკეთებული სტალინის მიერ. ერთი კურიოზი მოხდა – სასიგნალო გამოცემაზე არ იყო აღნიშნული თუ რომელი წიგნიდან იყო თარმნილი. სტალინს თავისი ხელით გაუსწორებია **"Перевод с грузинского Шалва Нуцубидзе"**. სტალინის ბიოგრაფიიდან კარგად არის ცნობილი რომ, იგი სტამბის მუშაობის დიდი გამოცდილების ოსტატი იყო. აკადემიკოსი ა. ბარამიძე იხსენებდა, რომ სტალინს ტექსტი ხელახლა დაულაგებია ძალიან მოხდენილ აბზაცებად. ხაზების საშუალებით მიუთითებია შრიფტების შენაცვლების საჭიროებაზე. ამგვარად ი. სტალინის არსებითად ახლად შეუდგენია სატიტულო ფურცლის ტექსტი: ყოველივე აქედან გამომდინარე სტალინი ყოფილა **"ვეფხისტყაოსნის"** ნუცუბიძისეული რუსული თარგმანის დიდი მოამაგე, მისი ნამდვილი სულის ჩამდგმელი და შთამაგონებელი, მისი პირველი მკითხველი, დამფასებელი და გულისხმიერი რედაქტორი.

სტალინმა სასიგნალოდ გამოცემული ეგზემპლარი თავისი ხელით ჩასწორებული საჩუქრად გადასცა ბატ. შალვას და უთხრა **"რაც გითხარი გამომცემელ რედაქტორს აუხსენი წიგნი კი შენ გქონდეს საჩუქრად"**. (აღნიშნული წიგნი ინახება ქ. გორში სტალინის სახლ-მუზეუმში). საუბრის დამთავრების შემდეგ სტალინმა სტუმრები ვახშამზე მიიპატიჟა. გაიხსენეს ძველი ამბები, შეისვა სტალინისა და საქართველოს სადღეგრძელოები. ისაუბრეს საშა (ალექსანდრე) წულუკიძის თაობაზე, რომელიც 1905 წელს დაკრძალეს ხონში და სადაც სიტყვით გამოვიდა სტალინი. ბელადმა თქვა, რომ მაშინ ერთი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა სიტყვით, მაგრამ მისი არც სახელი მახსოვს და არც გვარი, ეტყობოდა ნიჭიერი იყო მაგრამ არსად აღარ შემხვედრიაო. ბატ. შალვამ მიუგო **"თუ ის სამტრედიის ახალგაზრდობის წარმომადგენელი იყო, ახლა იგი აქ, თქვენს წინ ზისო"**. სტალინს გაუხარდა, ბატონმა შალვამ კი გაგრძელა: **"მე თქვენი მაშინდელი გამოსვლა ზეპირად მახსოვსო"**. ბატონი შალვა ადგა და თავისი არტისტული შემართებით წარმოთქვა 1905 წელში საშა წულუკიძის საფლავზე სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვა. როდესაც დაამთავრა სიტყვა, სტალინი ადგა მივიდა ბატ. შალვასთან და უთხრა **"ფენომენალურ ნიჭს ფენომენალური მეხსიერება ახლავსო"** და შუბლზე აკოცა.

ვახშამმა მხიარულ ატმოსფეროში ჩაიარა. სტალინმა ერთხელ კიდევ გააფრთხილა ბატ. შალვა და ბატ. სერგო, რომ მისი სახელი არსად არ ყოფილიყო ნახსენები, – როგორც რედაქტორი ან წინასიტყვაობის ავტორი. /წინასიტყვაობის ავტორობა სტალინმა მიაწერა სერგო ქავთარაძეს/. ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი გიორგი ბეზირგანი აღნიშნავს, რომ **"სერგო ქავთარაძეს ჩემთან პირად საუბარში ნათქვამი აქვს რომ არც გოროდეცკი არც მე თარგმანის რედაქტორები ფაქტობრივად არ ვყოფილვართ. ის პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე პირადად სტალინმა ჩაასწორა, მანვე ახლიდან თარგმნა მისი აზრით, ნაკლებად მარჯვედ თარგმნილი რამდენიმე სტროფი და პირველი გამოცემისთვისაც წინასიტყვაობაც დაწერა, რომელიც მე მომეწერა. მიუხედავად ჩემი თხოვნისა კატეგორიული უარი განაცხადა მისი გვარის სადმე დაფიქსირებაზე"**. ("გენერალისიმუსი" №16(44) 9-15 თებერვალი 2004წ). ამასვე მეტყველებს ი. სტალინის წერილები: **"უკანასკნელ დრომდე ვთვლიდი, რომ რუსთაველის პოემის საუკეთესო თარგმანი პეტრენკოსია. ნუცუბიძის თარგმანის გაცნობის შემდეგ მიმაჩნია, რომ ის არა თუ უკეთესია, არამედ თავისთავად ღირსშესანიშნავი მოვლენაა ლიტერატურაში. ნუცუბიძის თარგმანში მხოლოდ ერთი ადგილი 1416 სტროფი არ მომეწონა და მის ჩემეულ შესწორებას გთავაზობთ. კარგი უკეთესით უნდა შეიცვალოს, მოვითხოვ რომ "ვეფხის ტყაოსანის" – შესავალში ჩემი გვარი მოხსენიებული არ იყოს"**. აქედან დასკვნა – იოსებ სტალინი იყო **"ვეფხისტყაოსნის"** ნუცბიძისეული რუსული თარგმანის კორექტორიც, რედაქტორიც და წინასიტყვაობის ავტორიც.

ლეონტი ბიწაძე
ინჟინერ-ეკონომისტი

“ლაზარეს” დაფუძნებით პირველი ყინული დაიძრა

საქართველოში საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ დაფუძნდა, რომლის თავმჯდომარის, პოეტ რეზო ამაშუკელის განცხადებით, ბიბლიური ლაზარეს მსგავსად, ეს მოძრაობაც, პირველ რიგში, საქართველოსა და ქართული სულის აღორძინებას, შემდეგ კი, საქართველოში მცხოვრები ყველა მისი მოქალაქის გაერთიანებასა და ერთი ქვეყნის – საქართველოს შვილებად მათ გამთლიანებას მოემსახურება.

დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნებისა და ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლის მიუხედავად, საზოგადოებაში მაინც დიდია საპარლამენტო უმცირესობაში გადასული „ნაცმოძრაობის“ უსამართლო რეჟიმისადმი პროტესტი. მით უფრო, მაშინ, როდესაც თითქმის ყველა ტელევიზიიდან ყოფილი ხელისუფლების ოდიოზური სახეები კვლავინდებურად ყოველდღიურად ჩნდებიან ტელეეკრანებზე და ურცხვად საუბრობენ ახალი ხელისუფლებისგან მათ (ნაციონალების) მიმართ პოლიტიკურ დევნაზე. არადა, საზოგადოებისა და ხალხის მოთხოვნაცა და ახალი პოლიტიკური ძალის გამარჯვების უმთავრესი მიზეზიც სწორედ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმისა და მის მიერ ხალხის მიმართ ჩადენილი უსამართლო დანაშულებების მიმართ არჩევნებით გამოხატული საყოველთაო პროტესტი და სამართლინობის აღდგენის მოთხოვნა იყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივ სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში საზოგადოებაში არაერთგვაროვანი პოზიცია არსებობს, რამდენადაც ზოგი მათგანი ჯერ კიდევ **2003** წლიდან აქტიურად იღვწოდა სწორედ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის ხელისუფლებაში მოსაყვანად, ნაწილი კი „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი დამფინანსებლის, ფილანტროპისა და მილიონერის, ჯორჯ სოროსის, ფრთის ქვეშ მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებია; ზოგიც ჯერ კიდევ პირადად „ნაცმოძრაობის“ სამსახურში მდგომი არასამთავრობო ორგანიზაციაა. ბევრია საინფორმაციო სივრცეში ტელევიზიების მეშვეობით გაპიარებული „ცნობადი სახეებიც, ექსპერტებიცა და პოლიტოლოგებიც“, და არა რეალურად საზოგადოების უმრავლესობის აზრის გამომხატველი პროფესიონალი პიროვნებები.

შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ საზოგადოებას მისი რეალური მოთხოვნილებების გამხმოვანებელი საზოგადოებრივი სექტორი, გნებავთ, ქართველი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი არასამთავრობო ორგანიზაცია, აქამდე არ ჰყოლია. არადა, ნებისმიერ ხელისუფლებას, იქნება ეს რევოლუციისა თუ დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული, სწორედ (მოუსყიდავი და პროფესიონალი) საზოგადოების მხრიდან ესაჭიროება მონიტორინგი და ზედამხედველობა, რათა ძალაუფლების ეშხში შესულს, აწ უკვე ახალ ხელისუფლებასაც, იგივე არ დაემართოს (არასამართლებრივი გზითა და მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად) და არ გააგრძელოს ქვეყნის მართვა. მით უფრო, რომ ქართველი საზოგადოება ახალ ხელისუფლებაშიც ძველი ხელისუფლების არაერთ ყოფილ „სახესა“ თუ თანამოაზრესაც ხედავს.

სწორედ საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების სხვადასხვა სფეროს (დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე; საარჩევნო პროცესებზე; მედიაზე; განათლებაზე; კულტურის (კულტურული მემკვიდრეობის) დაცვაზე; სამედიცინო სფეროს სრულფასოვან განვითარებაზე; სოფლის მეურნეობის ჯეროვან აღორძინებაზე; სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონკორდატის შესრულებაზე; სკოლებში გოგებაშვილის „დედაენისა“ და საქართველოს ისტორიის სწავლების დაბრუნებაზე) კონტროლის (მონიტორინგის) მიზნით, **2012** წლის **2** ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია მეორეს კურთხევით დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“.

მოძრაობის დაფუძნების ინიციატორი პოეტი რეზო ამაშუკელი გახლდათ. მოძრაობის საზოგადოებრივ დარბაზში გაერთიანებულია არაერთი ცნობილი და პროფესიონალი პიროვნება, ადამიანები, რომელთაც თავისი მოღვაწეობის მანძილზე ქვეყნისთვის ღირებული და პროფესიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქმით; ვისაც მომავალში ამა თუ იმ სფეროში ინიციატივებისა და პროექტების განვითარებისას უნდა დაეკითხოს საქართველოს ახალი ხელისუფლებაც.

მოძრაობის ამოცანებსა და მიზნებში, ჩამოთვლილი სფეროების მონიტორინგთან ერთად, ვკითხულობთ: „მოძრაობის მიზანია ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის, როგორც ქართული პოლიტიკური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი საფუძვლის, სახელისუფლებო ორგანოებისთვის რეკომენდაციად შემუშავება, რაც გულისხმობს: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის; დარგობრივი კონცეფციების; საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებას; საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობას... გლობალიზაციისა და მსოფლიო ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებსა და ფასეულობებთან მისადაგებით, საქართველოში 1. სოციალურ-პოლიტიკური და ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტების წარმოშობის მიზეზების სისტემური ანალიზით პრობლემების აღმოფხვრის ხელშეწყობა; ამ მიზნით, ეთნოკონფლიქტების საკითხში სახალხო დიპლომატიის ჩართვითა და სახელმწიფოსთან თანამშრომლობით ქვეყნის უმტკივნეულესი საკითხის – ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების ხელშეწყობა... ეროვნული ზნეობის, მორალისა და საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გზით – კონსტიტუციით გათვალისწინებული ღირებულებებისა და უფლებების დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა... ქართული სახელმწიფოს მრავალეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრები დიასპორების საქართველოს მოქალაქეების, ქართულ კულტურულ-ეთნიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა... მოძრაობის კრების მიერ დასახელებული დამსახურებული და ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე პირების, პროფესორ-მეცნიერთა მეშვეობით, ევროპული და მონათესავე ქრისტიანულ სამყაროსთან კულტურულ-ისტორიული და ეკონომიკური კავშირების აღდგენა-გაღრმავება; საზოგადოებრივი ინიციატივების, პროექტებისა და პროგრამების მხარდაჭერა... ქვეყნის დემოგრაგიული მაჩვენებლის ზრდისა და საქართველოსთვის ჯანმრთელი გენოფონდის აღზრდაზე ზრუნვა.

მოძრაობის წევრად გახდომა შეუძლია როგორც – საქართველოს, ისე სრულწლოვანების ასაკს მიღწეულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, განურჩევლად მისი ეთნიკურ-რელიგიური და პოლიტიკური კუთვნილებისა, რომელიც აღიარებს წინამდებარე წესდებას, იზიარებს მოძრაობის დეკლარირებულ მიზნებსა და მონაწილეობას მიიღებს მოძრაობის საქმიანობაში“.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული შეხვედრა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში ა.წ. **7** დეკემბერს ჩატარდა. მას ქართველი საზოგადოების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა დაესწრო როგორც დედაქალაქიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

მოძრაობის ინიციატივას – „ერთიანი, მრავალეროვანი, ძლიერი და ტრადიციული ქართველი საზოგადოებრივი სექტორის შექმნის თაობაზე“, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსს შორის ურთიერთობების აღდგენას, უკვე გამოეხმაურა „ქართულ-ოსური საზოგადოება“. მის საპატიო თავმჯდომარედ დაუსწრებლად უკვე აირჩიეს საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ თავმჯდომარე რეზო ამაშუკელი.

ასე რომ, პირველი ყინული დაიძრა და რაც ვერ (თუ არ) შეძლო წინა ხელისუფლებამ და მისმა პოლიტიკამ (საქართველოს ისტორიული მიწაწყლისა და მასზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების საქართველოსკენ შემობრუნება), იმედს ვიტოვებთ, რომ სახალხო დიპლომატიის მეშვეობით მოახერხებს და შეძლებს ისეთი ფართომასშტაბიანი და პერსპექტიული საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორიც საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ სახით დაფუძნდა.

მოძრაობაში გაწევრების მრავალრიცხოვან მსურველთა მოთხოვნის გათვალისწინებით, მოძრაობის ოფისის ადგილმდებარეობისა და საკონტაქტო ტელეფონების შესახებ პრესისა და მედიის მეშვეობით უახლოეს კვირებში გამოქვეყნდება.

ვინ სთხოვდა შალვა დადიანს საქართველოს მეფობას



თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული დოკუმენტების ხელახალი დამუშავებისას სპეციალისტებმა მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებლის, მწერლის, დრამატურგის, რეჟისორის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ცხოვრების შესახებ ახალ დეტალებსა და დოკუმენტებს მიაკვლიეს.

გაირკვა, რომ შალვა დადიანი **14** წლის ასაკში გამოსცემდა საყმაწვილო ხელნაწერ ჟურნალ “მოზარდს”. მისი გამოცემა **1888** წელს დაწყებულა და ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. მუზეუმში ჟურნალის სულ **80** ეგზემპლარია დაცული.

სპეციალისტებმა შალვა დადიანის არქივზე მუშაობისას უფრო მნიშვნელოვან ექსპონატებსაც მიაკვლიეს – მის მიერ შესრულებულ დღემდე უცნობ სასცენო ესკიზებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წერილი, რომლის მიხედვითაც სოციალისტ-ფედერალისტები შალვა დადიანს საქართველოს მეფობას სთხოვდნენ, თუმცა მან ეს ხუმრობად აღიქვა და ამით თავიდან აიცილა მძიმე ტვირთი. შალვა დადიანი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკოლოზ დადიანის ოჯახში დაიბადა. განათლება მიიღო შინ მოწვეული მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ადრეული სიჭაბუკის წლებში გაიტაცა სოციალურმა და პატრიოტულმა იდეებმა.

1893 წლიდან შალვა დადიანმა მსახიობობა დაიწყო და შემდგომში ვლადიმერ ალექსიმესხიშვილთან იღვწოდა ქუთაისის თეატრში. **1908** წელს ჩამოაყალიბა “მოძრავი დასი”, რომელიც რევოლუციურ სპექტაკლებს დგამდა საქართველოს სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე ბაქოსა და ნოვოროსიისკში. მეფის ცენზურის აკრძალვის მიუხედავად, დასმა პირველმა დადგა მაქსიმ გორკის პიესა “უკანასკნელნი”.

შალვა დადიანი კომედიური ჟანრის ფუძემდებელია ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. მის პიესებში მხილებულია საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმის, მლიქვნელობისა და თვალთმაქცობის გადმონაშთები. ის ასევე ავტორია პირველი ისტორიული რომანისა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში “გიორგი რუსი”.

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შალვა დადიანის პირადი ჩანაწერებია, რომელიც მკრთალი ფანქრითაა შესრულებული და სადაც ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად სტალინთან და ბერიასთან ახლო მეგობრობისა, შალვა დადიანს საბჭოთა რეჟიმი მაინც ავიწროებდა.

ნ. ჯაფარიძე

რუსეთი უპრეცედენტო გადაწყვეტილების მიღებას აპირებს

რუსეთის ხელმძღვანელობის განზრახვა – გააიოლოს და დააჩქაროს საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალაქეების, ანდა სსრკ-ში ან რუსეთის ყოფილ იმპერიაში დაბადებულ პირთა შთამომავლებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, ერთგვარად უპრეცედენტოდ მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსს, ერეკლე მეორეს საზოგადოების თავმჯდომარე **არჩილ ჭყოიძეს.**მისი აზრით, ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ რუსეთი პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს აიღებს ყველა იმ მოქალაქის მიმართ, რომლებიც დაიბადნენ ან ცხოვრობდნენ ყოფილი სსრკ-ის ან რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ანდა სსრკ-ისა და იმპერიის ყოფილ მცხოვრებთა შთამომავლები არიან.

„ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზული და სამართლიანი გადაწყვეტილებაა და ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. არ მახსოვს, რომ ასეთი მასშტაბის გადაწყვეტილებები მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანას მიეღოს“, – აღნიშნა არჩილ ჭყოიძემ.

ჭყოიძე არ ელის, რომ რუსეთის მიერ მოქალაქეობის მინიჭების წესის გამარტივება არსებითად გაზრდის მიგრაციის მასშტაბებს საქართველოდან, რადგან ეს მასშტაბები ისედაც დიდია.

ჩემს აფხაზ დედებსა და მამებს, დებსა და ძმებს, მეგობრებს!

მიმართვა!

ჩემო ძვირფასებო! არც კი ვიცი, როგორ დავიწყო თქვენთან ამ წერილის მეშვეობით მაინც ღიად გასაუბრება, მაგრამ ორივე მხარეს, თქვენცა და ჩვენც, გვეკუთვნის ეს პრივილეგია და ამ უფლებას ჩვენ ვერავინ წაგვართმევს, რამეთუ მრავალსაუკუნოვან ნათესაური კავშირით ვართ შეკრული და ამის იავარყოფა ხელარგვეწიფება, არც უფალი გვაპატიებს. მართალია ჩვენს შორის (ხაზს ვუსვამ დროებით) ჩამოწვა შავი ღრუბელი, მაგრამ დამერწმუნებით ეს ჩვენი ბრალი არ ყოფილა. ვაი პოლიტიკოსების მხრიდან, რომელთანაც ჩვენ უბრალო მოკვდავთ არაფერი გვაკავშირებდა. განხორციელდა ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამაში საბედნიეროდ ჩვენი უბრალო ხალხის ბრალეულობა არ იკვეთება და არც შეიძლება გამოიკვეთოს. ამ ცრუ და ყოვლად გაუმართავმა პოლიტიკამ შედეგად ის მოგვცა, რომ მოყვრები ერთმანეთს მტრებად გადაგვკიდა და ამან მხოლოდ მტრის წისქვილზე დაასხა წყალი, ხოლო დოლაბი კი ჩვენს თავზე დაატრიალა. თუ მე კდემამოსილი აფხაზი ძიძის ძუძუ მიწოვია, მყავს იქ ძუძუმტე, მხოლოდ სიკვდილმა უნდა დამავიწყოს ეს და პირიქით. ჭკვიანი ხალხი სხვა ეთნო ჯგუფებიდან, თქვენზე და ჩვენზე მეტი, არა მგონია იყოს ამ ქვეყანაზე და არც ასე ახლონათესაურ კავშირში იქნებიან. ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს აწ განსვენებული ბატონ დიმიტრი გულიას **„კამაჭიჭი“** იმან კარგად უნდა გაითავისოს ვინ და როგორია აფხაზი ქალი, ქართველი ქალი. ისეთ სისხლხორცეულად დაკავშირებულ ხალხს, როგორიც ჩვენ ვართ არა მგონია გვჭირდებოდეს შუამავალი. შუამავალი – როგორც მატიანე მოგვითხრობს, ყოველთვის გამორჩენაზეა და ამახინჯებს იმ აზრსა და სათქმელს, რომელიც უშუალოდ უნდა მივიტანოთ ერთმანეთთან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უგუნურმა და გაუაზრებელმა პოლიტიკამ ორივე მხრიდან (სხვების წაქეზებით), რომლის მსხვერპლიც ჩვენ აღმოვჩნდით, ძმას ძმაზე ხელი აღამართვინა, ერთმანეთი დაგვახოცინა, მაგრამ ამ ნასროლმა ძმობის სიწმინდე, მრავალსაუკუნოვანი ნათესაობა დროებით მიაჩუმათა, ვერკი მოსპო. ჩვენს ომში გმირი არავინ ყოფილა, მოგებული არავინ დარჩენილა, გარდა იმ იუდებისა, რომლებმაც ჩვენ ამ ძმათა მკვლელი ომისკენ გვიბიძგა. ახლა ამდენი დროის გასვლის შემდეგ, მე მჯერა, რომ ორივე მხარეს გათავისებული გვაქვს, რომ არასწორად მოვიქეცით, ისიც მჯერა, რომ ერთმანეთს ვერ დავკარგავთ. ჩვენს ერთმანეთთან შერიგებას კი, აღარაფერი უნდა დასჭირდეს, ჩვენივე კეთილ ნების გარდა. ტყუილი კი არ არის, ნათქვამი ბრძნული ანდაზა: **„აქლემები ჩხუბობდნენ და შიგ კოზაკი გაიჭყლიტაო“**. ამ შემთხვევაში **„კოზაკს“** ჩვენ წარმოვადგენთ და არ უნდა მივცეთ **„აქლემებს“** გაგვჭყლიტონ. უნდა დაიგმოს თავსმოხვეული მწვავე საკითხების მიჩუმათების პრაქტიკა, ხელი უნდა შევუწყოთ კონსტრუქციული, უშუალო დიალოგების წარმოშობას. საბოლოოდ უნდა გავარკვიოთ რაში ვეთანხმებით ერთმანეთს და რაში არა, გამოვნახოთ საერთო ენა, რაც უფრო მჭიდროდ დავუკავშირდებით ერთმანეთს და საბოლოოდ აღვადგენთ იმ ჩატეხილ ხიდს, რაც ჩვენს შორის სამწუხაროდ დღემდე დარჩა. ჩვენი აფხაზი ძმები, არა მგონია ფიქრობდნენ, რომ მათ გასაჭირს საქართველოს გარეთ უკეთ გაიგებენ და უთანაგრძნობენ. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავკარგავთ, რამეთუ გვაკავშირებს უდიადესი გრძნობა, რასაც ერთ–ურთის სიყვარული ჰქვია. თითოეულმა ჩვენგანმა წარმოიდგინოს რას ჰქვია ენგურს გაღმა–გამოღმიდან შეჰყურებდე შენს თვისტომს, შენს დას, შენს მორდუსა თუ ძიძას, რომელსაც გინდა ყოველ წუთს მოესიყვარულო, ამას კი გიკრძალავდეს არათვისტომი, ორივე მხარისთვის უცხო. ჩვენი უბრალ ყოფნა, ერთმანეთის მტრობა (რაც თავს მოგვახვიეს) ორივე მხარის დაკნინებისა და დეგრადაციის მიზნით არის განხორციელებული და ეს ჩვენ ფართო ასპექტში უნდა გავისიგრძეგანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარებისა და გადაჯიშების საფრთხე ძალიან ახლოსაა, რასაც შემდგომ ვეღარაფერს ვუშველით. ბევრ შემთხვევაში (ღმერთმა ნაკლები ქნას) ტელევიზიით გადმოცემულ ნეკროლოგებით ვგებულობ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე (რომელსაც ვთვლი მშობლიურად) გარდაიცვალა ესა თუ ის პიროვნება, რომლის ხსოვნისთვის პატივის მიგება და დაკრძალვის ცერემონიალზე დასწრება შეუძლებელია, რადგან ამის შესაძლებლობა პრაქტიკულად დაკარგული გვაქვს. ამ სამწუხარო, მაგრამ ფრიად საჭირო ადათ-წესებში, რიტუალებში დასწრება და მონაწილეობა რატომ არ უნდა შეგვეძლოს?! რა გვაქვს გასაყოფი ხალხს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, ჭირსა თუ ლხინში გვერდში ვედექით ერთმანეთს?! დადგა დრო იმისა, რომ გავმართოთ უშუალო დიალოგი, სჯა-ბაასი, გავარკვიოთ საკითხი, თუ რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე, რომ ვცეკვავთ სხვის დაკრულზე! ჩვენმა ხალხმა უნდა გამართოს პირდაპირი საუბარი, რამეთუ ვართ ერთ სულ, ერთ ხორც.

დარწმუნებული ვარ, ამ მიმართვას დადებითი გამოხმაურება მოჰყვება, გვეყოფა იმის ჭკუა და მიხვედრილობა, რომ კვლავ ერთად უნდა ვიყოთ ჭირსა თუ ლხინში, ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე. ძმები მუდამ რჩებიან ძმებად.

პატივისცემით,

როზმირ გოგენია,
ზუგდიდი

შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა

8 (ახალი სტილით 21 სექტემბერს) მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს. ეს დღე ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია მორწმუნეთათვის.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მამა, მართალი იოაკიმე, წმინდა დავით მეფის, ხოლო დედა, მართალი ანა, მღვდელმთავარ აარონის შთამომავალი გახლდათ.

მორწმუნე ცოლ-ქმარმა ისე მიაღწია ხანდაზმულობამდე, რომ შვილი არ შეეძინათ. იმ დროს უშვილობა ითვლებოდა ღვთის სასჯელად, ცოდვების გამო. მართალ იოაკიმეს და ანას აყვედრიდნენ. მართალ იოაკიმეს ერთხელ იერუსალიმის ტაძარში უფლისათვის მსხვერპლის შეწირვის უფლებაც არ მისცა მღვდელმთავარმა. დამწუხრებული მოხუცი უდაბნოში გავიდა და ორმოცი დღე მარხვასა და ცრემლიან ლოცვაში გაატარა. მართალი ანა მწარედ ტიროდა. თუმცა, მორწმუნე ცოლ-ქმარს ღვთის იმედი არ დაუკარგავთ, და აღთქმა დადეს, თუ მიეცემოდათ შვილი, მას ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ.

უფალმა შეისმინა მათი. მთვარანგელოზმა გაბრიელმა აცნობა, რომ შვილი შეძინებოდათ, რომელიც განდიდდებოდა.

მართლაც, გავიდა ხანი და მართალმა ანამ იმშობიარა – შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც მარიამი დაარქვეს...

ყოვლადწმინდა მარიამი თავისი სიწმინდით, არა მხოლოდ ყოველ ადამიანზე, არამედ ანგელოზებზე აღმატებულიცაა.

ვულოცავთ ყველა ქართველს და მართლმადიდებელს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს!

ყველა ქრისტიანს და მათ შორის ქართველებს ძალიან გვეიმედება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გულმოწყალებისა! ჩვენ ხომ მისი წილხვედრი ხალხი ვართ... შევთხოვოთ მშვიდობა ჩვენი ქვეყანასა და ოჯახებისათვის, რაც ასე ძალიან გვჭირდება დღეს...

ტროპარი:

შობამან შენმან, ღმრთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგ ბრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩუენი, და სნა წყევა, და მოგუმადლა კურთხევა და განაქარვა სიკუდილი, და მოგუანიჭა ჩუენ ცხორება საუკუნო .

კონდაკი:

იოაკიმ და ანა ყუედრებისაგან უშვილობისა, ხოლო ადამ და ევა რწინელებისაგან და სიკუდილისა განთავისუფლდეს, უხრწნელო, დიდებულითა და პატიოსნითა შობითა შენითა, ამას დღესასწაულობს ერიცა შენი, თანა-მდებობისაგან ბრალთასა ხსნილი ღაღადებენ შენდამი: ბერწი შობს ღმრთისმშობელსა და მზრდელსა ცხოვრებისა ჩუენისასა.

ღვთისმშობლის სადიდებელი

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ. ყოვლად-უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

ლოცვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი

ვუგალობ მადლსა შენსა, დედუფალო, და გევედრები, გონება ჩემი აღავსე მადლითა, წარმიმართე მე, რათა ვიდოდე გზასა უფლისა მცნებათასა. გალობასა შინა მღვიძარებით განმაძლიერე, რომელი დახსნილობისა ძილითა შეპყრობილ ვარ. საკრველთაგან ცოდვათა ჩემთასა განმხსენ მეოხებითა შენითა, სძალო ღმრთისაო. ღამით და დღით დამიცევ ბრძოლათაგან ეშმაკისათა და განმარინე მე. რომელმან ცხოვრების მომცემელი ღმერთი მუცლად იღე, მე, მომწყდარი ვნებათაგან განმაცხოველე. რომელმან ნათელი დაუდამებელი ჰშევ, სული ჩემი დაბნელებული განანათლე. დიდებულო მეუფისა საყდარო, ტაძრად სულისა წმიდისა განმწმიდე მე. რომელმან მკურნალი იგი ყოველთა ჰშევ, განკურნენ სულისა ჩემისა ვნებანი დამძიმებულნი. რომელი ვიგვემები ღელვათა შინა ამის სოფლისათა, მყუდროებად მიმაწიე. მიხსენ მე ცეცხლისა მისგან საუკუნო სა და დაუცადებელად მტანჯველისაგან მატლისა. ნუ მიჩვენებ მე ეშმაკთა ჩემ ზედა მოხარულთა, რომელსა მიქმნიან მრავალნი ცოდვანი. განმაძლიერე ბრძოლასა შინა ვნებათასა, ყოვლად უბიწოო ქალწულო. უცხო მყავ მე ყოვლისაგან სატანჯველისა და ყოველთა ღმერთსა შემაწყნარე. ზეცისა სიხარულსა ღირს-მყავ მიმთხვევად ყოველთა თანა წმიდათა. ყოვლადწმიდაო ქალწულო, შეისმინე ვედრება უღირსისა და უხმარისა მონისა შენისა. უფსკრული ცრემლთა მომმადლე, დედუფალო, რა თა მწიკვლი სულისა ჩემისა განვიწმინდო. სულთქმა ლმობიერი გულსა ჩემსა მომივლინე, დედუფალო. უძლური ესე ვედრება ჩემი შეისმინე, წმიდაო, და ღმრთისა სახიერისა შესწირე. უზეშთაესო ანგელოზთაო, უზეშთეას ვნებათა გამომაჩინე. ნათლით შემოსილო, სამკვიდრებელ დაამკვიდრე ჩემთანა მადლი შენი და სუნელ მყავ მე. ხელთა აღვიპყრობ და ბაგეთა ჩემთა შეგინებულთა აღვახვამ ქებად შენდა. ყოვლადწმიდაო, სულისა განმხრწნელთა ვნებათაგან მიხსენ მე დაუცხრომელითა ვედრებითა შენითა ქრისტეს მიმართ, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გ. მამალაძე



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲔᲑᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ

არაბი დამპყრობლების მხრიდან პალესტინის ქრისტიანი მოსახლეობის შევიწროებამ განსაკუთრებულ სისასტიკეს მიაღწია X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში, ფატიმიდების დინასტიის წარმომადგენლის ხალიფა ალ-საკიმის მმართველობის პერიოდში (996-1021). 1009 წ. მისი ბრძანებით იერუსალიმში დაანგრიეს ეკლესიებისა და მონასტრების დიდი ნაწილი, განახლდა ქრისტიანთა სასტიკი დევნა. ასეთი ხვედრი ერგო წმ. ჯვრის მონასტერსაც. იგი იმდენად ააოხრეს,რომ საცხოვრებლად აღარ გამოდგებოდა და მიტოვებული იქნა.

ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ X-XVII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲨᲘ

ქრისტიანთა დევნა შეწყდა 1017 წელს. მალე ნებადართული იქნა დანგრეული ეკლესიებისა და მონასტრების აღდგენაც. იერუსალიმის პატრიარქმა იბერიელ (ქართველ) ბერს ათონის მთიდან პროხორეს იბერიის მეფის ბაგრატ III-ისა (980-1044) და მისი დედის მარიამის მიერ გამოყოფილი სახსრებით დანგრევის პირს მისულ წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის თაობაზე თანხმობა უბოძა. ეს მოასწავებდა სავანის ისტორიაში ახალი პერიოდის – აყვავების, სულიერი და კულტურული აღორძინების ხანის დაწყებას, რომელიც, სამწუხაროდ, ერთობ ტრაგიკულად დასრულდა. მაგრამ ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს.

პროხორე (ერისკაცობაში – გიორგი შავშელი) ბავშვობაში მონასტერში იზრდებოდა, ახალგაზრდობაში წავიდა ათონის მთაზე, 1010-1015 წლებში აღმოჩნდა პალესტინაში და მრავალი წელი გაატარა წმ. საბას ლავრაში. ღირსი წმინდანის გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში ჩაწერილია: „იმ დროს ღირსი პროხორე ღვთისმოსავი მეფის ბაგრატის ნება-სურვილით წმ. ქალაქში აშენებდა ქართულ სავანეს ცხოველმყოფელი ჯვრის პატივსაცემად იმ ადგილზე, სადაც მოიჭრა ხე მაცხოვრის ჯვრისათვის. გიორგიმ დიდი დახმარება გაუწია ამ ღვთისმოსავ მამას და ხელი შეუწყო სავანის სწრაფად აღმშენებლობას. ღირსმა მამამ პროხორემ სთხოვა გიორგი მთაწმინდელს სავანისათვის მისი პირველ ნაშრომებს შორის, მის მიერ გადათარგმნილი წმინდა წიგნების გაგზავნა, მაგრამ იმჟამად ნეტარმა მამამ ვერ შესძლო მისი თხოვნის შესრულება. ღირსი მამის პროხორეს გარდაცვალების შემდგომ მისმა მოწაფეებმა ნეტარი გიორგისაგან მიიღეს თვენი, ჟამნგულანი სრული ზადიკი და სხვა ღვთისმსახურების წიგნები“.

მონასტრის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო 1099 წელს, ე.ი. იერუსალიმში ჯვაროსნების შესვლამდე. რესტავრაციას დაექვემდებარა მთელი სამონასტრო კომპლექსი. ოღონდ არ არსებობს სანდო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურებოდა შენობები X საუკუნეში, ანუ მანამ, სანამ მონასტერი დაინგრეოდა ხალიფა აღხაკიმის დროს. მხოლოდ, ცხადია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამონასტრო ეკლესიას. ვანდალთა მიერ განადგურებული მოზაიკის იატაკი შეცვალეს ახლით, რომელიც წარმოადგენდა VI საუკუნის ბიზანტიური მოზაიკის იატაკების იმიტაციას. იატაკის მსგავსი მოზაიკები ანალოგიური გეომეტრიული ორნამენტით, მცენარეული და ცხოველური მოტივებით აღინიშნება წმ. მიწის მრავალ ეკლესიაში.

კონკრეტულად ვინ მოხატა ეკლესია შიგნიდან, არ არის ცნობილი. ეს შეიძლება ყოფილიყო თვითონ პროხორე, რომელიც აწარმოებდა მის რესტავრაციას, და ცნობილი რუსი მომლოცველი იღუმენი დანიელიც, რომელიც იქ იმყოფებოდა რამდენიმე წლით ადრე. პროხორემ მონასტერში თავი მოუყარა მრავალ მთარგმნელს, მწიგნობარს, გადამწერსა და მხატვარს, რის შედეგადაც წმ. ჯვრის მონასტერი გახდა ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აქ ითარგმნებოდა და გადაიწერებოდა თხზულებები, შეიქმნა საკუთარი ლიტერატურული სკოლა.

წმ. პროხორე შავშელის ცხოვრებაში ჩაწერილია: „ღვთის შემწეობით ის შეუდგა მონასტრის მშენებლობას, ... რომელსაც ეწოდება ჯვრის მონასტერი... მან აღაშენა, და მოაწყო, და შეამკო ეკლესია ყოველგვარი მოხატულობით. შექმნა გუნდი მისივე მსგავსი ბერ-მონაზვნებისაგან, რომელთა რიცხვი დაახლოებით 80-ს შეადგენდა. მათთვის შეადგინა წესდება და სამონასტრო წესები... და როცა... დაასრულა თავისი შრომები, დაუსუსტდა სხეული შრომისა და სიბერისაგან. მაშინ სულიერ ძმათაგან აირჩია ერთი მოწაფე – გიორგი, დააყენა წინამძღვრად, დაავალა მთელი ძალისხმევით ეზრუნა მონასტრის ბინადრებზე. ამის შემდეგ წავიდა არმონის უდაბნოში, თან წაიყვანა ორნი – პრესვიტერი და ბერი. და რამდენიმე ხნის შემდეგ დატოვა ეს ქვეყანა... ის აღესრულა 12 თებერვალს (1066), კვირა დღეს“.

სამონასტრო ეკლესიის ადრეული მოხატულობის დიდი სიზუსტით დათარიღება შეუძლებელია შედარებით გვიანი მოხატულობის გამო, რომელიც შესრულებულია XII საუკუნეში იბერიელი დედოფლის თამარის რწმუნებულის შოთა რუსთაველის დროს, ასევე XVII საუკუნის შუახანებში მოხატულობის განახლების გამო. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ მხოლოდ მოხატულობის ფრაგმენტები, რომლებზედაც შენარჩუნებულია თავდაპირველი მოხატულობის თემები და კომპოზიცია. დროის ამ პერიოდში მონასტერი და ეკლესია არა მხოლოდ აღდგა, არამედ კიდეც განახლდა.

ბერები, რომლებიც მონასტერში დასახლდნენ განახლების შემდგომ, იყვნენ ბერძნები და ქართველები. ბევრი მათგანი ჩამოვიდა ათონიდან. იბერიის მეფეების, განსაკუთრებით კი დავით IV-ის (1089-1125) მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით, იბერიელთა თემი იზრდებოდა და ძლიერდებოდა. მონასტერმა შეძლო მის გარშემო მდებარე გლეხური მიწების შეძენა და დროთა განმავლობაში სამონასტრო მეურნეობა განმტკიცდა.

მაგრამ იერუსალიმში ჯვაროსანთა შემოსვლის დროს ბევრი სამონასტრო მიწა ჩამორთმეული იქნა მეფე ბალდუინ IV-ის (1173-1183) მიერ, რომელმაც სხვისი ქონებით სარგებლობის უფლება გადასცა უფლის საფლავის ტაძრის კათოლიკე ბერებს. წმ. ჯვრის მონასტრის აყვავება დაიწყო მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა დატოვეს იერუსალიმი.

XII საუკუნის ბოლოს (დაახლ. 1185 წ.) იბერიაში თამარის მეფობის დროს იერუსალიმში ჩავიდა შოთა რუსთაველი – იბერიის სამეფო კარის მიერ საპასუხისმგებლო მისიით წარგზავნილი, რათა მოეხდინა იერუსალიმის იბერიული საძმოს რეორგანიზება და ჯვაროსანთაგან დაზიანებული ჯვრის მონასტრის გარემონტება.

იბერიიდან შოთა რუსთაველის მიერ ჩამოტანილი სახსრებით და მისივე ძალისხმევის წყალობით, მონასტრის სამფლობელოები აღდგა, ეკლესია და დანარჩენი შენობები კი რესტავრირებული იქნა. ბერების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათ შორის იყო ბევრი მეცნიერი, ჰაგიოგრაფი. მათგან ზოგი თავისუფალ დროს იწერდა ძველ ხელნაწერებს, უმეტესობა კი – ქმნიდა საღვთისმეტყველო ტრაქტატებს. სწორედ მათი შრომები დაედო საფუძვლად პირველ სამონასტრო ბიბლიოთეკას, რომელიც თანდათან მდიდრდებოდა ახალი ხელნაწერებით და იქცა იერუსალიმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბიბლიოთეკად.

მონასტერში, მაგალითად, ქართულ და ბერძნულ ენებზე იყო წარმოებული „მოსახსენებელი წიგნი“, რომელიც ინახავდა ხსოვნას მათ შესახებ, ვინც ცხოვრობდა სავანეში ან თავისი იქ ყოფნით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა (ამჟამად ის ინახება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავში). XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ერთ-ერთი ჩანაწერი მოწმობს, რომ აქ აღესრულა ხაზინადარი შოთა, რომელსაც იმ დღესვე გადაუხადეს აღაპი: „გუმბათის ქვეშ სვეტები განაახლა და მოხატა... შოთა რუსთაველი, ხაზინადარი, სადაც თვითონვე გამოსახულია ასაკოვანად“.

შოთა რუსთაველს საქართველოს სამეფო კარზე ეკავა მაღალი თანამდებობა – განაგებდა ფინანსებს. მონასტერში შოთა რუსთაველის ყოფნის შესახებ ასევე ჩაწერილია საქართველოს საზოგადო მოღვაწის, ქუთაისის მიტროპოლიტის, არქიეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილის წიგნში **„მოგზაურობები“**. იგი იმყოფებოდა იერუსალიმში 1755-1758 წლებში.

შოთა რუსთაველმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამონასტრო ეკლესიის შიდა მორთულობას. ახალი ფრესკები შეიქმნა კედლის მხატვრობის თავდაპირველი გეგმის შესაბამისად, თუმცა ფრესკები ახდენდა ათონის მონასტრების იკონოგრაფიული სტილის რეპროდუცირებას. მოხატულობათა შორის შეიძლება დავინახოთ ასევე ზოგიერთი ბერძენი ანტიკური ფილოსოფოსისა და ბრძენის პორტრეტები, როგორიცაა: პლატონი, სოკრატე, არისტოტელე და პლუტარქე.

პოეტი შოთა რუსთაველი ასევე გამოსახულია პირველ კოლონაზე მარჯვნივ, ჰიმნოგრაფ მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს შორის. შოთა რუსთაველთან ასევე დაკავშირებულია მონასტრის ისტორიის დრამატული ფურცლები, რომლის შესახებ ცოტა მოგვიანებით გიამბობთ.

მოხატულობა, რომელიც ამჟამად შეიძლება ნახოთ ეკლესიაში, მიუხედავად XVII საუკუნეში განხორციელებული განახლებისა, ინარჩუნებს თავდაპირველ თემებსა და ხშირ შემთხვევაში თავდაპირველ კომპოზიციას.

ოღონდ XIII საუკუნის ბოლოს, როცა არაბმა თავდამსხმელებმა მელექ ელ-ნასირ ბენ-ხალაუნის მეთაურობით დაიპყრეს მონასტერი, სავანის აყვავება შეწყდა. ბერები განდევნეს მონასტრიდან, ეკლესია კი დაემსგავსა მეჩეთს. მონასტერი იქცა დევრიშების საღვთისმეტყველო სკოლად.

მონასტრის უფლებები აღდგა და კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა 1305 წელს – ბიზანტიელი იმპერატორის ანდრონიკე II პალეოლოგის (1281-1333) ჩარევის შედეგად.

ამასთან მოხდა მონასტრის რეორგანიზება. იბერიული ბერ-მონაზვნური თემი მოეწყო იმდროინდელი იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური თემის მსგავსად. ბერების რაოდენობა გაიზარდა იბერიიდან ჩამოსულთა ხარჯზე, მონასტრის სამფლობელო კი შეივსო ახალი შეწირულობებითა და მონაპოვრებით.

მონასტერმა შეიძინა ყველა მიმდებარე მიწა, სადაც გაშენებული იყო ზეთისხილის ხეები და ვენახი, რაც უზრუნველყოფდა მტკიცე ეკონომიკურ საფუძველს იერუსალიმის იბერიული ბერ-მონაზვნური თემის შესანახად.

წმ. ჯვრის მონასტერი წარმოადგენდა იერუსალიმის ბერ-მონაზვნური თემის ცენტრს. გარკვეულმა პოლიტიკურმა მიზეზებმა, ასევე ქართველებისა და დამპყრობელი მამლუქების გეოგრაფიულმა, ეთნიკურმა და ენობრივმა სიახლოვემ იერუსალიმის იბერიულ თემს მისცა მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონისა და გავლენის მოპოვების საშუალება. იბერიელები მხარს უჭერდნენ წმინდა საფლავის საძმოს და არსებით დახმარებას უწევდნენ იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოს, რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

მონასტრის აყვავების ეს პერიოდი გრძელდებოდა XVI ს-ის დასაწყისამდე. 1517 წ. პალესტინა გადავიდა თურქების ხელისუფლების ქვეშ. ახალი დამპყრობლები მამლუქებისგან განსხვავებით არც თუ კეთილგანწყობილნი იყვნენ იბერიელების მიმართ. საძმოს შიგნით შინაგანმა წინააღმდეგობებმა და დაპირისპირებებმა შეასუსტა მისი მთლიანობა. შედეგად ყოველივე ამან გამოიწვია მონასტრის დაშლა. მალევე გამოვლინდა ეკონომიკური გაუარესების ნიშნები. იბერიის მმართველთა მხრიდან ფინანსური დახმარება თითქმის მთლიანად შეწყდა ან არ აღწევდა მონასტრამდე, კრედიტორთა რიცხვი იზრდებოდა. მონასტერი იძულებული გახდა გაეყიდა თავისი ქონების ნაწილი. მიწები და ფერმები გადავიდა არაბი გლეხების ხელში. ასეთი ხვედრი ხვდა წილად იერუსალიმში დაფუძნებულ ბევრ იბერიულ მონასტერს. ფინანსური გართულებების გამო ისინი იჯარით გადაეცა ქრისტიანულ თემებს, რომლებიც თანდათან ისაკუთრებდნენ მათ.

XVII საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა იბერიული თემის აღდგენის და მონასტრებისთვის ქონების დაბრუნების მცდელობას. მაგრამ იმ დროისთვის თემის ვალი დიდ თანხას შეადგენდა. იბერიელთა საკუთრებას უკვე მხოლოდ წმ. ჯვრის მონასტერი შეადგენდა და ისიც ერთობ სავალალო მდგომარეობაში იყო.

1643 წ. მონასტრის წინამძღვარი გახდა ნიკიფორე – უკანასკნელი ნამდვილად განათლებული და ენერგიული ადამიანი იერუსალიმის ქართული თემისა. ნიკიფორე – ერიკაცობაში ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (1585-1658) ქართველი მეფის თეიმურაზ I-ის დიპლომატურ სამსახურში იდგა. იგი არაერთხელ ყოფილა განსაკუთრებული მისიით რომში, სადაც ცნობილი იყო ნიკიფორე ირბახის სახელით. ნიკიფორე 13 წლის განმავლობაში ცხოვრობდა მონასტერში ბერად, სადაც მოგვიანებით დაბრუნდა წინამძღოლად და დაჰყო იქ შვიდი წელი, 1643-დან 1649 წლამდე.

მონასტრის წინამძღოლად ყოფნისას 1643 წელს ნიკიფორემ ჩაატარა მისი ეკლესიის რესტავრაცია გუმბათის, საკურთხევლისა და კანკელის აღდგენით. რესტავრაციის დროს განახლდა ეკლესიის კედლის მხატვრობა განსაკუთრებით დაზიანებულ ადგილებში, დაიწერა მთელი რიგი ახალი ხატები. არსებობს სამშენებლო წარწერა: **„ტაძარი ესე ცხოველმყოფელი ჯვრისა მოხატულია და განახლებული ლევან დადიანის ნებასურვილით, ჯვრისა და წმ. გოლგოთას უღირსი იღუმენის ომან ჩოლოყაშვილის ძის ტაძრისათვის თავდადებული ნიკიფორეს ხელითა და დიდი მცდელობით, რომელმაც განაახლა გუმბათი და საკურთხეველი საკუთარი სახსრებით...“**

ტაძრის წარწერების ახალ თემას შეადგენდა ნიკიფორეს მიერ მოფიქრებული ისტორიული პორტრეტების სერია. ტაძრის წარწერებში ის ქმნის მონასტრის მთელ ისტორიას, რომელიც წარმოდგენილია სამი ყველაზე ნათელი ეპიზოდით: ქართული ბერ-მონაზვნობის ლეგენდარული დაფუძნება და დასაწყისი; მონასტრის აღდგენა 1046 წელს. მესამე ეპიზოდი წარმოდგენილია ნიკიფორეს თანამედროვეთა გალერეით. ესაა თავადი დადიანი და მონასტრის სხვა ქტიტორები. ამ უკანასკნელი სერიის პორტრეტები ზომით მცირე, როგორც შეესაბამება ქტიტორთა გამოსახულებებს.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ზვიად სიჭინავა: მიშელ პლატინი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას გეგმავს

2012 წლისა ნოემბრის მიწურულს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში 17 და 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებების ელიტრაუნდებისა და ევროშესარჩევის კენჭისყრის დასრულების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ზვიად სიჭინავა უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის პირისპირ შეხვდა და მოლაპარაკებები გამართა მასთან.

უეფას თავკაცის, წარსულში სახელგანთქმული ფრანგი ფეხბურთელია და **სფფ**-ის ხელმძღვანელის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ზვიად სიჭინავამ **სფფ**-ის ოფიციალურ ვებ-გვერდის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ დიდი შანსია, პლატინი მალე თბილისში გვეწვიოს და მოლაპარაკებები აწარმოოს მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე.

"თავდაპირველად, შვეიცარიაში ამასწინანდელ გამართულ კენჭისყრაზე გეტყვით. ოთხი შანსიდან დღეს ჩვენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი შანსი გამოვიყენეთ და მომავალი წლის ორი შესარჩევი ეტაპის მასპინძლობის უფლება მოვიპოვეთ.

უდიდესი სურვილი გვქონდა, 19-წლამდელ ფეხბურთელთა ელიტრაუნდიც თბილისში წამოგვეღო, თუმცა ინგლისმა და შოტლანდიამ თავიდანვე მოილაპარაკეს, რომ ბელგიაში თამაში აწყობდათ და ამიტომ ჩვენ ვეღარ მოვახერხეთ.

მე შევხვდი ბატონ მიშელ პლატინის. შეხვედრა დახურული იყო, თუმცა გეტყვით იმას, რომ ჩვენ ყველა ერთობლივ პროექტზე ვისაუბრეთ.

უეფას პრეზიდენტმა მოგვილოცა მომავალი წლის ორი შესარჩევი ეტაპის მასპინძლობა და აღნიშნა, რომ ეს კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი თქვენდამი დიდი ნდობისო.

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ბატონი პლატინი უახლოეს მომავალში გეგმავს შეხვედრას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან.

თარიღი ჯერ დადგენილი არ არის, თუმცა დიდი შანსია, უეფას პრეზიდენტი თბილისში გვეწვიოს და სწორედ იქ შედგეს ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა.

ჩვენ ასევე ვისაუბრეთ სამომავლოდ ისეთ გრანდიოზულ პროექტზე, როგორიცაა ევრო 2020. ბატონ პრეზიდენტს ძალიან აინტერესებდა ჩვენი ხედვა იმ საკითხთან მიმართებაში, რომ ევროპის საიუბილეო ჩემპიონატის მასპინძლობაში ბევრი ქვეყანა იყოს ჩართული და მათ შორის, საქართველოც მოიაზრება" – განაცხადა ზვიად სიჭინავამ.

ამის შემდეგ **სფფ**-ის ხელმძღვანელებმა რამდენიმე მოლაპარაკება გამართეს მეგობარი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებთან. გადაწყვეტილია ელიტრაუნდამდე საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ტესტ-მატჩები რამდენიმე საკმაოდ სოლიდური ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებთან. თუმცა, ზვიად სიჭინავას თქმით, როცა ეს ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება, ყველა დეტალი მაშინ გახმაურდება. ეს კი, სავარაუდოდ, უახლოეს ორ დღეში მოხდება. **სფფ**-ის დელეგაცია სამშობლოში 6 დეკემბერს დაბრუნდება.

ლუკა კურტანიძე: ადრინდელი ხიდჩატეხილობა უნდა აღვადგინოთ

ჭიდაობის ფედერაციის არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. მოჭიდავეებმა მართლაც ჯენტლმენობის მაგალითი მისცეს სხვებს. ჭიდაობის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური პრიზიორი **ლუკა კურტანიძე** გახდა. მას 103 დელეგატიდან მხარი 58-მა დაუჭირა, ხოლო **გეგა გეგეშიძეს** – 45-მა. ფედერაციის გენერალური მდივანი **გიორგი ლომიძე** გახდა.

ვიცე-პრეზიდენტთა არჩევნებში ხმების უმრავლესობა **თემურ ყაზარაშვილმა**, **დიმიტრი გელაშვილმა** და **ედიშერ მაჩაიძემ** მიიღეს.

კურტანიძეს, ერთი ვიცე-პრეზიდენტის აღმასკომისთვის დასამტკიცებლად, მოგვიანებით წარდგენა შეეძლო, თუმცა მან ყრილობას კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დამატება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო.

კურტანიძემ ორიდან ერთის ვინაობა 6 დეკემბერსვე გააცხადა – წლების განმავლობაში თბილისის სპორტის (და არა მხოლოდ) სამსახურის ხელმძღვანელი **ვლადიმერ კანკავა;** მეორეს კი მოგვიანებით შეარჩევს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ლომიძეც და გელაშვილიც მისი კანდიდატურები იყვნენ.

"ადრინდელი ხიდჩატეხილობა აუცილებლად უნდა აღვადგინოთ და თანაც, არა დაპირისპირებით, არა კამათით, არამედ – ერთად დგომით.

ჩვენ მოვდივართ არა ვინმესთან დაპირისპირების მიზნით, როგორც ეს აზრი მესმირებს, არამედ ჭიდაობის ოჯახის გასაერთიანებლად" – განაცხადა თავის გამოსვლაში კურტანიძემ და მერე გეწაძესაც მიმართა: *"შედეგები რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც უკეთესი იქნებოდა, რომ არა ის ზეწოლა, რომლითაც ჩვენს მწვრთნელებსაც და თქვენც გაიძულებდნენ, უკვე აპრობირებული, მეცნიერულ-პრაქტიკულად დადასტურებული ბაზების ნაცვლად შეკრებები სხვაგან ჩაგეტარებინათ. 2003 წელს ასჯერ ნაკლები დაფინანსება გვქონდა, მაგრამ ორივე ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით, რაც უპრეცედენტოა ქართული ჭიდაობის ისტორიაში. ადრე ბევრად მწირი დაფინანსებით იმიტომ ვაღწევდით წარმატებებს, რომ აპრობირებულ ბაზებს ვიყენებდით მოსამზადებლად. "შეცდომა უნდა დავინახოთ და არ უნდა გავიმეოროთ".*

კურტანიძის წინასაარჩევნო დაპირებები ძირითადად ასე ჟღერდა: სახელმწიფოს დახმარებით დავიბრუნებთ დაკარგულ დარბაზებს; დიდი ჩემპიონები და მათი აღმზრდელი მწვრთნელები აქტიურად იქნებიან ჩართულნი ჭიდაობის განვითარების გრძელვადიან პროგრამაში, ხოლო ამის უკეთ კოორდინაციის მიზნით შეიქმნება "ჩემპიონთა კლუბი"; ჩატარდება სპორტსმენთა და მწვრთნელთა ზუსტი აღრიცხვა, რაც მათი რანგირების საშუალებას მოგვცემს; შეიქმნება ისეთი პირობები, რაც გაზრდის კონკურენციას მწვრთნელთა შორის; დღის წესრიგში დადგება მოქმედი თუ ვეტერენი სპორტსმენების, მწვრთნელების დაფასება; მუშაობის გაშლა რეგიონებში და ამ მიზნით რეგიონული ფედერაციების ჩამოყალიბება...

სწორედ ამ ბოლო პუნქტს გაუწევს კოორდინირებას ის მეხუთე ვიცე-პრეზიდენტი. კურტანიძისავე ინიციატივით, შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელსაც სათავეში სახელოვანი რომან რურუა ჩაუდგა. კენჭისყრის შემდეგ კურტანიძემ მადლობა გადაუხადა მთელ საზოგადოებას გამოცხადებული ნდობისთვის და დაგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს ევროპის ჩემპიონატის ღირსეულად მასპინძლობისთვის, რომელიც გაისად, მარტში, თბილისში ჩატარდება.

ყრილობის დასრულების შემდეგ კომენტარი **გეგა გეგეშიძესაც** ვთხოვეთ, რომელმაც შემდეგი განაცხადა: *"არჩევნების შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან კურტანიძის სახით ღირსეული კონკურენტი მყავდა. ვულოცავ მას და მჯერა, ღირსეულად გაუძღვება ფედერაციას. თანამშრომლობას თუ შემომთავაზებს, უარს ნამდვილად არ ვეტყვი. ჩემთვის თვითმიზანი არ იყო, მაინცდამაინც პრეზიდენტი ვყოფილიყავი.*

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი გივი თარგამაძის ექსტრადიციას მალე მოითხოვს

რფ-ის საგამოძიებო კომიტეტის განცხადებით, ქართველი პოლიტიკოსი გივი თარგამაძე მონაწილეობას იღებდა ბოლოტნაიას მოედანზე მასობრივი არეულობების ორგანიზებაში და **„კონკრეტული როლიც"** ეკისრებოდა. ამის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტგამოცემა **ლენტა.რუ** ავრცელებს.

ამასთან, გამოძიების ვერსიით, თარგამაძე მოსკოვში **„მილიონთა მარშის"** გამართვისას **„ოპოზიციის ლიდერების მოქმედებათა უშუალო ხელმძღვანელობას" ახორციელებდა (მოსკოვში ამ სახელწოდების სამი მარში გაიმართა: 6 მაისს, 12 ივნისსა და 15 სექტემბერს), თუმცა კონკრეტული ღონისძიება არ სახელდება.**

რფ-ის საგამოძიებო კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, **რომ უახლოეს ხანებში საქართველოში გაიგზავნება მოთხოვნა გივი თარგამაძესთან დაკავშირებით „სამართლებრივი დახმარების" აღმოჩენის თაობაზე.**

უწყების პრესრელიზში აღნიშნულია, რომ ეს მოთხოვნა წარმოადგენს პასუხს „მედიაში გამოქვეყნებულ მასალებზე რუსეთის ოპოზიციასთან გივი თარგამაძის კონტაქტების შესახებ". „რაკიღა ეს მასალები მედიაში გამოჩნდა, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს შეუძლია მათი არსებობის დადასტურება", – ნათქვამია ცნობაში.

სავარაუდოდ, გამომძიებლებმა გადაწყვიტეს, პასუხი გაეცათ **Life News**-ის პუბლიკაციაზე **„თარგამაძე უდალცოვის ცოლს ოპოზიციის ლიდერობას სთავაზობდა"**, სადაც მოთხრობილია, რომ თარგამაძეს სურდა, ანასტასია უდალცოვა ქმარზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურა გამხდარიყო და მას 12 ივნისის **„მილიონთა მარშზე"** ლიდერის როლს აკისრებდა. ამასთან, აღნიშნულ მასალაში ნათქვამია, რომ თარგამაძე კონსტანტინე ლებედევის მეშვეობით ხელმძღვანელობდა უდალცოვის მოქმედებებს 12 ივნისს.

Life News-მა ხსენებული პუბლიკაცია 13 დეკემბერს, 07:14 საათზე გამოაქვეყნა. **რფ**-ის საგამოძიებო კომიტეტის გამოხმაურება, სადაც ვიდეოკომენტარს უწყების წარმომადგენელი ვლადიმერ მარკინი აკეთებს, მას 16 წუთში – 07:30 საათზე მოჰყვა.

გივი თარგამაძე ფიგურირებდა ფილმში **„პროტესტის ანატომია-2"**, რომლის მასალების მიხედვითაც საგამოძიებო კომიტეტმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა. **„მარცხენა ფრონტის"** ლიდერი სერგეი უდალცოვი, ოპოზიციონერები ლეონიდ რაზვოზჟაევი და კონსტანტინე ლებედევი რუსეთში მასობრივი არეულობების მოწყობაში დაადანაშაულეს. გამოძიების ვერსიით, 2012 წლის ივნისში ისინი მინსკში თარგამაძესთან შესახვედრად ჩავიდნენ დაფინანსების თაობაზე მოსალაპარაკებლად. ამჟამად რაზვოზჟაევი და ლებედევი დაკავებული არიან. უდალცოვს კი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს.

თავის მხრივ, გივი თარგამაძე რაიმე კავშირს რუსეთის პოლიტიკურ მოვლენებთან უარყოფს. მისი თქმით, იგი საერთოდ არ იცნობს სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტებს.

თარგამაძე რომ ბოლოტნაიას მოედანზე შეჯახებებს აფინანსებდა, ნათქვამია რაზვოზჟაევის აღიარებით ჩვენებაშიც.

იუმორი

– ქუთაისელი მეგობარს შეხვდა:

– რაია, ბიჭო, რა კარგად გაცვია, ვისია ეს კოსტუმი?

– პიერ კარდენის!

– შარვალი ვიღასია?

– შარვალიც პიერ კარდენისაა!

– "სარორჩა"?

– "სარორჩაც" პიერ კარდენისაა!

– სულ დაკარგე, ბიჭო, ნამუსი?! ტიტველი დატოვე კაცი?

* * *

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს:

– რაო, ძამა, რა ქნა ჩვენმა გუნდმა?

– რა ვიცი, ძამია, 11:0 წაუგიათ.

– კი მარა, რაიო, ჩვენ მეკარემ, რეიზა არ წავყევი გუნდსო?!

* * *

– ძვირფასო, ნახე, შენი პერანგი როგორ გათეთრდა? მე ის "ტაიდით" გავრეცხე!

– კარგია, მაგრამ მე ის ლურჯი ზოლებით უფრო მომწონდა...

* * *

ქართველი მოსკოვში დგას ლამაზ, ტანაშოლტილ გოგონასთან ერთად. გამოიარა მეორე ქართველმა და უთხრა:

– ვა, რა ჯეირანივით გოგოა!

რომ წავიდა, გოგონა ეკითხება:

"Что он сказал"?

"Он сказал, что ты горный козел?"

* * *

ოსმა სანტექნიკოსი გამოიძახა:

– უნიტაზი დამირეგულირე, თორემ წყალი ისე სწრაფად ჩამოდის, რომ პირის დაბანას ვერ ვასწრებ!

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**

გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge